ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 8 აგვისტო, 2019 №186 (8140) ფასი: 60 თეთრი

ლაშა ჩხარტიშვილი: „ნაციონალების დროს ირაკლი კობახიძე ბუჩქებში იჯდა“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „20 ივნისის შემდეგ „ოცნების“ ყველა ნაბიჯი შეცდომაა“

გვ.2

ნიკა გვარამია: „ეს შეიძლება დამთავრდეს დაკავებით“

გვ.5

რუსთავი 2-ის ყოფილი გენერალური დირექტორი დაკითხვაზე დაიბარეს

გია აბაშიძე: „ნაციონალების პოლიტიკურად განეიტრალების გარეშე რეალური დეოკუპაცია შეუძლებელია“

გვ.5

გია ხუხაშვილი: „ხელისუფლებამ თითქოს სისხლის სუნი იგრძნო და სულ უფრო მეტი სისხლი უნდა“

გვ.2

მეგი გოცირიძე: „ოცნების“ ახლანდელი მაღალჩინოსნები კოკოითისთან საუფთიაქო ნარკომანიის წილში ისხდნენ“

გვ.3

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „არ არსებობს ნარკოტიკი, რომელიც მიჩვევას არ იწვევს“

გვ.4

„ფონიჭალის დასახლება ნარკოტიკების გასაღების მთავარი ბუდეა“

ბიბილოვმა რუსეთთან შეერთება კიდევ ერთხელ მოითხოვა

ოსები გენოციდის აღიარებაზე პასუხს მოსკოვიდან ელიან

გვ.4

სამართალი

გვ.5

20 ივნისის აქციაზე დაკავებული ნიკოლოზ შარვაშიძე სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

ქუთაისის აეროპორტში ნარკოტიკების შემცველი მედიკამენტები გამოავლინეს

გვ.4

ISSN 1987-9385

5 საკუთარი მანქანით მიაჯახა კედელს და მოკლა

7 თბილისის დინამო როტერდამში ჩავიდა და დღეს ფეიენოორდს შეხვდება

5 ნიდერლანდებიდან შემოტანილ ქათმის გაყინულ ხორცში სალმონელა იპოვეს

6 შეტაკებები ინგუშეთში

აშშ-ის ელჩი რუსეთში გადადგა

დავით ჭიჭინაძე: „20 ივნისის შემდეგ „ოცნების“ ყველა ნაბიჯი შეცდომაა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– პატონო დავით, 20 ივნისის მოვლენების შემდეგ ხელისუფლება დასუსტებულია თუ იგივე ძალა აქვს?

– არა, იგივე ნამდვილად აღარ არის. საკმაოდ სერიოზული ზიანი მიადგა ხელისუფლებას, როგორც იმიჯის თვალსაზრისით, ისე მორალურად. შეიძლება არ იმჩნევდნენ, მაგრამ საკუთარ მოსახლეობას ასეთი მეთოდებით რომ დაშლი, საკუთარი ქვეყნის ახალგაზრდებს, მომავალს ასე რომ გაუსწორდები, შეუძლებელია, იგივე რიხით გააგრძელო. მოსახლეობის ნდობა დღითიდღე კლებულობს, ამ ყველაფრის შემდეგ ადამიანებს აღარ აქვთ ნდობა.

თავიდან იყო მცდელობა, რომ თითქოს არც არაფერი არ მომხდარა და პატარა ჭანჭიკებზე უნდოდათ გადაეტანათ. თითქოს ამ პატარა ჭანჭიკების მოწყობილი იყო და ისინი არაფერ შუაში არ იყვნენ, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ.

ნდობა რომ საკმაოდ დაბალია, ეს ყველა ასპექტში აისახა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს აისახა ეკონომიკაზე. ეკონომიკის ყველა პარამეტრი ამაზე მეტყველებს.

სამწუხაროდ, პოლიტიკას დაემატა ეკონომიკა და საკმაოდ ფართომასშტაბიანი, უკვე ყოვლისმომცველი კრიზისი მივიღეთ ქვეყანაში.

– რამდენად შეძლებს ხელისუფლება ამ კრიზისიდან გამოსვლას?

– ხელისუფლება შეცდომას შეცდომაზე უშვებს და ამ ფონზე არათუ კრიზისიდან გამოვა, პირიქით, უფრო შედის ამ სპირალში. 20 ივნისის შემდეგ ყველა მისი ნაბიჯი შეცდომაა და ამიტომაც სახეზე გვაქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკური კრიზისი, ეს უნდა თუ არ უნდა „ქართულ ოცნებას“.

– და მაშინ რა არის გამოსავალი?

– სანამ ხელისუფლებაში ხარ, გამოსავალი არის განახლება, შეცდომების არდაშვება, მათი გამოსწორება, მაგრამ ამას ვერ შეძლებს „ქართული ოცნება“.

– თქვენ ამბობთ, რომ დაანონსებული განახლება ჩავარდა?

– მაჩვენეთ ერთი ახალი სახე! უკვე „ქართულ ოცნებაში“, თვითონ გუნდის შიგნითაც სხვადასხვა დაჯგუფებებია და უკვე ერთმანეთში ისე აირია სიტუაცია, ახლა ყველა თვითგადარჩენისთვის იბრძვის. ეს არ არის მარტივი პროცესი. რთული სიტუაციაა.

– გუნდის შიგნით?

– დიახ. ხელისუფლების შტოებს შორისაც ხომ ხედავთ, როგორი ვითარებაა. ჩაიხლართა სიტუაცია.

– ტვ-პირველის დამფუძნებლის ვახტანგ წერეთლის პროკურატურაში გამოკითხვაზე დაბარება თქვენთვის ერთი ხელწერის ნაწილია?

– მე მირჩევნია, ამ საკითხზე მას შემდეგ გავაკეთო კომენტარი, როდესაც ტვ-პირველის დამფუძნებელი გამოიკითხება.

– მის დაბარებას მამუკა ხაზარაძის საქმეს უკავშირებთ?

– დაველოდოთ გამოძიებას და შემდეგ გავაკეთებ კომენტარს ამ საკითხზე, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– ხელისუფლება აცხადებს, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ახალი სისტემით ჩატარდება. რას მოუტანს ეს ცვლილება „ქართულ ოცნებას“?

– ჩემთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, რას მოუტანს ქვეყანას. თუმცა, თუ სამართლიანად ჩაატარა არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“, ქვეყანას ექნება პატარა შანსი, რომ ამოისუნთქოს. ასევე ჩნდება შესაძლებლობა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება ერთპიროვნულად ვერ შეინარჩუნოს.

თუ „ქართული ოცნება“ სამართლიანად არ ჩაატარებს არჩევნებს და ამომრჩევლის ნებაზე აშკარა ზეგავლენას მოახდენს, მაშინ ეს იქნება უტყუარი დაპირისპირების საბაბი. მერე უკვე ეს დაპირისპირება და კრიზისი სხვა ფორმებს მიიღებს.

– რა ფორმებს?

– რთული მისახვედრი არ არის. მერწმუნეთ, დაპირისპირება გარდაუვალი იქნება. ამას ემატება ისიც, რომ 2020 წელს გარე აქტორებს, გარე მოთამაშეებს ჩვენთვის არ ეცლებათ. მათაც არჩევნები აქვთ და თავიანთი პრობლემებით იქნებიან დაკავებულები, მაგრამ 2021 წლისთვის მოიცლიან ჩვენთვის და მერე უკვე ასეთი მარტივი არ იქნება, ხალხის მოთხოვნების წაყრუება არავის არ გამოუვა.

გია ხუხაშვილი: „ხელისუფლებამ თითქოს სისხლის სუნი იგრძნო და სულ უფრო მეტი სისხლი უნდა“

ხელისუფლების თამაში ძალიან ჰგავს პროვინციულ თამაშებს, რაც, როგორც წესი, ცუდად მთავრდება



იაგო ნაცვლიშვილი

პროკურატურამ ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეში დაკითხვაზე „ტვ პირველის“ დამფუძნებელი ვატო წერეთელი დაიბარა, რამაც გააჩინა ეჭვები, რომ ხელისუფლების მორიგი სამიზნე „ტვ პირველია“. ასე არ ფიქრობს პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი, რომელიც წერეთლის პროკურატურაში დაბარებას ანაკლიის პორტის კონსორციუმის ამერიკელების ხელში გადასვლას უკავშირებს.

რა კავშირი დაინახა კონსორციუმთან, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს „ტვ პირველზე“ და რატომ დაიწყო ხელისუფლებამ შანტაჟის ენით საუბარი? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გია ხუხაშვილი საუბრობს:

– ვატო წერეთლის პროკურატურაში დაბარებაზე სოციალურ ქსელში დაპოსტეთ და ეს ანაკლიის კონსორციუმის აშშ-ის ხელში გადასვლას დაუკავშირეთ. გავშალოთ ეს თემა ცოტა უფრო და გვითხარით, რა კავშირი დაინახეთ ამ ორ ფაქტს შორის?

– მოდით ასე ვთქვათ, რა ამოცანები აქვს ხელისუფლებას ანაკლიის პროექტთან დაკავშირებით? მისი ამოცანა იყო ძალიან მარტივი. მართალია ხელისუფლება ცდილობს, რომ ორიენტირები შეცვალოს და აღშფოთებულია იმით, თითქოს როგორ აკადრეს მას ეს და პროექტის საბოტირება მიმდინარეობს. მე მას ამაში დავეთანხმებოდი, მაგრამ ისინი პროექტის საბოტირებას კი არ ახდენენ, არამედ ცდილობენ, რომ მოახდინონ ანაკლიის კონსორციუმის საბოტირება მისი დისკრედიტაციის მიზნით.

მე ვფიქრობ, რომ ეს სისხლის სამართლის საქმე, ე. წ. ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით, უფრო სწორად, მისი აღძვრა და შემდეგ მისი დაკიდება ზუსტად ამ მიზანს ემსახურებოდა, რომ ეს საქმე იდოს, ამით ხდება კონსორციუმის დისკრედიტაცია, შესაბამისად, კონსორციუმი ვერ ახერხებს საინვესტიციო პირობების შესრულებას გასაგები მიზეზების გამო. ანუ, როდესაც ოპერატორზე აღძრულია მძიმე ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე, ბუნებრივია, ის აფრთხობს ინვესტორებს, საფინანსო პაკეტი ვერ დგება და, შესაბამისად, პირობებს ვერ ასრულებს.

უკვე აპირებდა ხელისუფლება გადასვლას იმ ეტაპზე, როდესაც პრეტენზიებს წაუყენებდა კონსორციუმს, რომ ისინი ვალდებულებებს ვერ ასრულებენ და ა. შ. აი ასეთი სქემა მუშაობდა ამასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ხელისუფლების ამოცანა ძალიან მარტივი იყო. მათ უნდათ ამ პროექტის კონტროლის ქვეშ დაყენება, გამომდინარე იქიდან, რომ მისი ფასი ძალიან გაიზარდა. პროექტის ღირებულება ძალიან გაიზარდა, არა მხოლოდ ფინანსური, არამედ პოლიტიკური ღირებულება. ის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულება გახდა აშშ-თვის და ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ეს პროექტი უნდა იყოს მისი პირადი კონტროლის ქვეშ. ეს სისხლის სამართლის საქმის დაკიდება ამას ემსახურებოდა. დაკიდეს, მაგრამ არ იძიებდნენ. საქმიდან გამომდინარე ვატო წერეთელი დღეს კი არ უნდა დაეკითხათ, არამედ 1 წლის წინ, ყოველ შემთხვევაში, 6-7 თვის წინ მაინც. გამომდინარე იქიდან, რომ მისი კომპანია იყო წყარო იმ კრედიტის, რაზეც აქვს საქმე აღძრული.

მას შემდეგ რაც კონსორციუმი მთლიანად გადავიდა ამერიკული კონტროლის ქვეშ, მას შემდეგ აზრს კარგავს მისი დისკრედიტაციის მცდელობა, ანუ საქმის დაკიდებულ მდგომარეობაში დაჭერა და ახლა უკვე ფაქტობრივად ეს საქმე ხელისუფლებისათვის ტვირთად იქცა და იძულებულები არიან, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით შავი კატა ეძებონ ბნელ ოთახში და რაღაცნაირად ლოგიკური დასასრულისკენ წაიყვანონ. მისი ასეთ მდგომარეობაში დატოვება აზრს კარგავს. აი ეს კავშირი დავინახე. მე ამას არ ვამტკიცებ, თუმცა საფუძვლიანი ეჭვი გამოჩნდა, რომ ამ ორ მოვლენას შორის გარკვეული კავშირი არსებობს.

– ანუ ხელისუფლება ვერც იმას ბედავს, რომ ჩაშალოს ეს პროექტი, ვინაიდან საკმაოდ დიდი ინტერესი აქვს ამერიკულ მხარეს და ამაზე არაერთი განცხადება მოგვისმენია მათგან და ამიტომ ჩაშლის გზებს ეძებს ჩვენი ხელისუფლება?

– არ არის აუცილებელი, რომ ჩაშალოს, მაგრამ ამ პროექტით ხელისუფლება ეცდება სხვა რაღაცას. რას ამბობს ხელისუფლება? ის ამბობს, რომ ან მე გავაკეთებ პროექტს, ან ჩაიშლება და ამ მიმართულებით მოძრაობდა. მე გავაკეთებ, რას ნიშნავს ხომ გესმით?!

– რას?

– ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ამერიკული მხარე სტრატეგიულად დაინტერესებულია ამ პროექტით, ამიტომ მას დასჭირდება ამერიკული მხრიდან გარკვეული გრძელვადიანი პოლიტიკური გარანტიები. აი ამ სქემით საუბრობს ის ამერიკულ მხარესთან. ეს ყველაფერი შანტაჟის ელემენტებსაც შეიცავს, რაც ცეცხლთან თამაშია. შანტაჟის ენაზე ამერიკელებთან ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, გაუგებარი და სახიფათოა.

პარალელურად ხელისუფლებას ეს პროექტი სჭირდება რუსეთის მხარესთან სალაპარაკოდ. როგორც მოვლენების განვითარებამ აჩვენა, ანაკლიის პროექტი აღმოჩნდა ამ დიდ გლობალურ დაპირისპირებაში ვაჭრობის ინსტრუმენტი. ხელისუფლებამ ეს პროექტი ასე დაინახა. შესაბამისად, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი კონტროლის ქვეშ აყვანა. ამიტომ, ყველანაირად ცდილობს, რომ ჩამოაშოროს კონსორციუმი ამ ეტაპზე. ამის შემდეგ, როდესაც დააყენებს პროექტს, მერე უკვე დაარქმევს რა იქნება მისთვის პოლიტიკურად მომგებიანი – პროექტის განხორციელება, მისი კონსერვაცია თუ მისი ჩაშლა. ანუ მანევრის საშუალება უნდა, რომ ჰქონდეს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ძალიან გაიბლანდა ამ თამაშში. იმიტომ, რომ ჩვენ ხელისუფლებას გაუჩნდა ილუზია, რომ ის უმაღლეს ლიგაში თამაშობს. გაუჩნდა ილუზია, რომ მას შეუძლია თანაბრად ევაჭროს ამერიკულ მხარესაც და რუსულსაც და ორივეს თვალები უპაჭუნოს და თავისი საუკეთესო ვარიანტი გამოძებნოს. ასეთი განცდა გამიჩნდა.

– ხელისუფლებას იმის ილუზია გაუჩნდა, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშობს თუ იმის, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს?

– ჩემპიონთა ლიგაში მისი თამაში ცოტა ძნელია. ძალიან ჰგავს ეს ყველაფერი პროვინციულ თამაშებს, რაც, როგორც წესი, ცუდად მთავრდება. მას არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი განცდა გაჩნდა და გაიხლართნენ ამაში. მას შემდეგ, რაც კონსორციუმი ამერიკული კონტროლის ქვეშ გადავიდა, ახლა რა უნდა ქნას ხელისუფლებამ?! იგივე პოლიტიკას ვეღარ გააგრძელებენ, იმიტომ, რომ დისკრედიტაციის ელემენტები ჩამოშორებულია ამ ყველაფერს.

ამ ნაბიჯით ძალიან გაბრაზდნენ, მაგრამ ამ გაბრაზებას ღიად ვერ გამოხატავდნენ და ამ ნაბიჯით ცდილობენ ამის გაკეთებას.

– ერთგვარი შურისძიებაა?

– კი, თუმცა პერსპექტივას ვერ ვხედავ, სიმართლე რომ გითხრათ. ფულის გათეთრების საქმე, ყოველ შემთხვევაში ის, რაც ჩვენთვის ცნობილია, არ გამოდის ამ საქმიდან ფულის გათეთრება. კი ბატონო, შეიძლება იყოს რაღაცა დარღვევებზე საუბარი, შეიძლება წვრილმან დანაშაულზეც იყოს საუბარი, მაგრამ ეს ვერანაირად ვერ „ქაჩავს“ ფულის გათეთრების საქმეს. თუ ფულის გათეთრებამ ვერ „გაქაჩა“, მაშინ ყველა შესაძლო დანაშაულს ამოწურული აქვს ხანდაზმულობის ვადა და მთლიანად ინგრევა საქმე. ამ რეალობაში აღმოჩნდა დღეს ხელისუფლება.

– მხოლოდ ამ ერთი მიმართულებით ანაკლიის პროექტის და კონსორციუმის ამერიკელებისთვის გადაცემის მიმართულებით დაინახეთ ვატო წერეთლის გამოკითხვაზე დაბარება?

– დანარჩენი ყველაფერი თანმდევია. მე არა მგონია, რომ აქ მთავარი ელემენტი ტელევიზიაზე შეტევა იყოს. არც ის მგონია, რომ ამ საქმიდან გამომდინარე ხელისუფლებას შეუძლია ვატო წერეთელს რაიმე სერიოზული პრობლემები შეუქმნას. რაში შეიძლება იყოს მისი დანაშაული თუნდაც თეორიულად? კი ბატონო, მან აიღო კრედიტი და დააკრედიტა, მაგრამ ეს დანაშაულია? ხომ არ არის დანაშაული?! სხვა მას არაფერი გაუკეთებია და რამდენიც არ უნდა დაკითხონ, რამდენიც არ უნდა უსმინონ ტელეფონზე მას და „ტვ პირველის“ თანამშრომლებს. მაგრამ აქ კომიკური იცით რა არის? ის რაზეც ხაზარაძეს ედავება ხელისუფლება, ეს არის 2007 წლის ფაქტი. როდესაც 2007 წლის ფაქტზე 2019 წელს მოსმენებს ახორციელებ, ეს ხომ სრული იდიოტიზმია?! ხომ არ გახსოვთ, რა მოხდა 2007 წელს თქვენს ცხოვრებაში? რა თეორიული შანსია, რომ 2019 წელს ვიღაცამ დაიწყოს 2007 წლის ფაქტებზე საუბარი და რამე საინტერესო გაიგო 12 წლის შემდეგ 2007 წლის მოვლენებზე, დავუშვათ ვატო წერეთლისა და ინგა გრიგოლიას საუბრიდან?! ეს კომიკურია.

– ტელევიზიის მფლობელზე შანტაჟის ენით საუბრის განცდასაც ხომ არ აჩენს ეს ყველაფერი?

– ეს ყველაფერი თანმდევია. ხელისუფლება საერთოდ შანტაჟის ენით ცდილობს, რომ კუნთები ათამაშოს. გამომდინარე იქიდან, რომ მას დაკარგული აქვს ლეგიტიმაცია და ხალხის ნდობა, რადგან ძალიან ბევრი პრობლემაა. ამიტომ ჯინი ამოვიდა ბოთლიდან. საპროტესტო და კრიზისების პერმანენტულ ეპოქაში ვართ შესულები და ამის კონტროლი და მართვა უჭირს, ამიტომ ხელისუფლება ცდილობს, რომ ეს ჯინი წიხლით ჩატენოს ბოთლში. ეს სრული აბსურდია და არ გამოვა, მაგრამ ის ამაზე წავიდა, რომ კუნთები აჩვენოს ვიღაცას. იქ დაჭერები გვაჩვენა, შინა პატიმრობები... თითქოს სისხლის სუნი იგრძნესო და სულ უფრო და უფრო მეტი სისხლი უნდათ. ანუ ინერცია აკრიფეს ამ მიმართულებით. ასეთი ილუზია აქვთ, რომ ძალოვანი მეთოდებით გადატეხავენ ამ კრიზისებს, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა. მოკლევადიანი შედეგი შეიძლება მიიღონ, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ბუმერანგის პრინციპით იწყებს ეს ყველაფერი მუშაობას. 21-ე საუკუნის 20-იან წლებში საზოგადოების დაშინება კუნთების თამაშით სრული აბსურდია.

– ანუ არ ელოდებით, რომ 2020-ის არჩევნებზე რაღაც დივიდენდების მოპოვებას შეძლებენ კუნთების თამაშით?

– მე მგონია, რომ კუნთების თამაში მხოლოდ მათ საწინააღმდეგოდ იმუშავებს საბოლოო ჯამში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნების“ ახლანდელი მაღალჩინოსნები კოკოითისთან საფთიაქო ნარკომანიის წილში ისხდნენ“

მეგი გოცირიძე: „სალომე ზურაბიშვილმა გიორგი ანწუხელიძეს ჰააგაში უჩივლა“

შორენა მარსაგიშვილი

რა საქმე ჩაუშალა ოქრუაშვილმა გოგა ხაინდრავას, რის მიღწევას ცდილობს გია ვოლსკი, როგორ გადაიქცა ქართული სახელმწიფო ბუტკად, ვინ შეარჩია საქართველოს პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილი? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარლამენტის ყოფილი წევრი მეგი გოცირიძე ესაუბრება.

– „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ აგვისტოს ომთან დაკავშირებით რაღაც დასკვნა გამოაქვეყნა და ამტკიცებს, რომ მიხეილ საკაშვილმა ქვეყანა მარცხისთვის გაწირა. რა შეგიძლიათ გვითხრათ ვოლსკის დასკვნაზე?

– ასეთ მოღალატეობრივ განცხადებებზე საშინლად ვიძაბები და გთხოვთ, ამ მოღალატეზე ბევრს ნუ მალაპარაკებთ. ვოლსკი იმ ხალხის წარმომადგენელია, ვინც პრეზიდენტად მოღალატე სალომე ზურაბიშვილი დაასახელა, ქალი, რომელმაც გიორგი ანწუხელიძეს სასამართლოში უჩივლა.

წლების წინ იმ საზიზღარმა პუტინმა თქვა, რაც მე 2008-ში ტანკებით ვერ გავაკეთე, იმას ქართველი ხალხი გააკეთებსო. ვოლსკი თავისი განცხადებებით პუტინის დაწყებულ საქმეს აგრძელებს.

ბოლო 200 წლის მანძილზე საქართველომ რუსეთთან 8 ომი გადაიხადა. რვაჯერ შემოიჭრა რუსეთი ჩვენს ტერიტორიაზე. რვაჯერვე სააკაშვილი იყო საქართველოს მმართველი? ქოცების ლოგიკით ხომ მოსკოვს ომი მხოლოდ სააკაშვილმა დააწყებინა. უკვე ყელში ამოვიდა ყველაფრის მიშასთვის გადაბრალება.

– ვოლსკი იმ პერიოდზე რატომ არ დებს დასკვნებს, როცა ნაციონალების მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე იყო? ცხინვალის რეგიონში მაშინ დაიწყო სიტუაციის გამწვავება. ვოლსკის, ხაინდრავასთან ერთად, კონფლიქტები ებარა.

– ვოლსკი იყო გოგა ხაინდრავას მოადგილე. რაღაც დასკვნების დაწერას ვოლსკის ურჩევნია, ის გაიხსენოს, რა შეემთხვა ხაინდრავას ჩოჩიევის კაბინეტში. შეუძლია არც გაიხსენოს, ხალხმა ისედაც ყველაფერი დეტალებში იცის. ამის შესახებ არაერთი სტატია დაიბეჭდა ქართულ მედიაში.

– ამ თემაზე წლების წინ თქვენ „ახალ თაობასთანაც“ ისაუბრეთ.

– გამეორება არ გამიჭირდება, მაგრამ ახლა უფრო მნიშვნელოვან თემაზე უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. აგვისტოს ომის ექსპერტად ქცეულმა ვოლსკიმ მისი და ხაინდრავას მოღვაწეობა შეაფასოს. დღის სინათლეზე გამოიტანოს ის სიბინძურე, რაშიც ეგენი იყვნენ გარეული.

იმ პერიოდში ევროკავშირმა გამოყო 2 მილიონი ევრო. ამ თანხით კონფლიქტის ზონაში უნდა აშენებულიყო საწარმო, სადაც ქართველები და ოსები ერთად დასაქმდებოდნენ. ევროპაში ფიქრობდნენ, რომ ეს მათ დაახლოებას შეუწყობდა ხელს.

იმის ნაცვლად, რომ რამე ნორმალური საწარმო გაეკეთებინათ, საქართველოს მოღალატეები ცხინვალის მაშინდელ მმართველ ედუარდ კოკოითის გაურიგდნენ და ნარკოტიკების გადამამუშავებელი საწარმოს აშენება სცადეს. საუბარი იყო სააფთიაქო ნარკომანიაზე.

– სად იყო სააკაშვილი ამ დროს?

– სააკაშვილი ამ დროს სახელმწიფოს აშენებდა და როგორც კი ამ სიბინძურის შესახებ გაიგო, ხაინდრავაც გააგდო და ზედ ვოლსკიც მიაყოლა.

მიშამ ხაინდრავა 2006 წლის ზაფხულში გადააყენა. ის გადაყენების შესახებ გაფრთხილებულიც კი არ იყო.

ეს ამბავი მასზე ადრე ჟურნალისტებმა გაიგეთ. სამინისტროში მიაკითხეთ და კაბინეტიდან გამოსულს კომენტარის გაკეთება სთხოვეთ. ტიპი აზრზე არ იყო. როცა გაარკვია, სპექტაკლის დადგმა გადაწყვიტა – საგანგებო განცხადება გაავრცელა, სანდრო გირგვლიანის გამო ვტოვებ პოსტსო. სინამდვილეში იმ სიბინძურეს შეეწირა, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ.

ირაკლი ოქრუაშვილი წარმოშობით გორიდან არის. კარგად იცნობდა შიდა ქართლს და მან გახეთქა ეს ამბავი.

– ამის გამო ჰქონდათ მაშინ ხაინდრავას და ოქრუაშვილს ცუდი ურთიერთობა?

– მიზეზი ეს იყო. მათ შორის უთანხმოება უკვე 2004 წლის ბოლოს დაიწყო. 2005 წლის დასაწყისში ოქრუაშვილს ზურაბ ჟვანიასთანაც დაეძაბა ურთიერთობა. მათ შორის კონფლიქტის მიზეზი გოგა ხაინდრავა იყო.

– ჟვანია ხაინდრავას „კრიშავდა“?

– ხაინდრავა ჟვანიას კადრი იყო და მის დაცვას შეეცადა. რაღაც პერიოდი გამოუვიდა, მაგრამ მიშამ ხაინდრავა მაინც გააგდო.

მისგან და ვოლსკისგან არაფერი მიკვირს. არც სალომე ზურაბიშვილისგან. ახალქალაქში მის საარჩევნო შტაბში რუსეთის დროშა ეკიდა. ამის ამსახველმა ფოტომ რამდენიმე თვის წინ ინტერნეტსივრცე მოიარა.

საერთოდ რაზე უნდა ვილაპარაკო, როცა პრეზიდენტად სეპარატისტ ვაგან ჩახალიანის მხარდაჭერილი ქალი გვიზის. კრიმინალი და სეპარატისტი ჩახალიანი ვოლსკიმ და მისნაირებმა გამოიყვანეს პოლიტპატიმრის სტატუსით.

ისიც იცოდეთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას პრეზიდენტობის კანდიდატად სალომე ზურაბიშვილი პირადად პუტინმა შეურჩია.

და ხომ გთხოვეთ, ამ მოძველებიჭო ვოლსკიზე ამდენს ნუ მალაპარაკებთ. რაღაც წამომცდება. მასზე იმდენი რამე ვიცი, მათ შორის ისიც, სად წავა.

– წასვლას არსად არ აპირებს. სხვა მეოცნებეების მსგავსად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოგებას აპირებს.

– მასე შევარდნაძეც არსად არ აპირებდა წასვლას, არც პოროშენკო და არც იანუკოვიჩი არ აპირებდნენ, მაგრამ მოუწიათ.

– ისე, 2012 წელს არც მიშა და ნაციონალები აპირებდით წასვლას, მაგრამ მოგიწიათ.

– მართლა არ აპირებდა ნაცმოძრაობა 2012 წელს წასვლას. მეტსაც გეტყვით, მიშას და ვანოს გაწერილი ჰქონდათ გეგმა, თუ რა უნდა გაეკეთებინათ 2016 წლის არჩევნების მოგების შემდეგ.

2016 წლისთვის ვანო ციხეში იჯდა, მიშას კი არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა აღარ ჰქონდა.

ასე რომ, იოცნებოს ვოლსკიმ და მისნაირებმა ხელისუფლებაში დარჩენაზე – ოცნებას კაცი არ მოუკლავს.

– ამ სიტუაციას შემდეგი გამოთქმა უფრო შეეფერება – კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

– ჯობია, მართლა ეს გამოთქმა გამოვიყენო. სხვა თუ არაფერი, ოცნებაზე ვერავინ იტყვის, კაცი არ მოუკლავსო. „ოცნებას“ კაციც მოუკლავს, ქალიც და 9 თვის ბავშვიც.

გარდა იმისა, რომ „ოცნება“ კლავს, „ოცნება“ ქვეყანასაც ანადგურებს. აგერ იმ გარეკილმა ივანიშვილმა შეკვეთილში სახლში შეიყვანა ზღვა.

– ასეთი რამე სააკაშვილს რომ გაეკეთებინა, საინტერესოა, რა შეფასებას გააკეთებდა მოქმედი ხელისუფლება. მიშას ისედაც გარეკილს ეძახდნენ.

– გარეკილი ვინც არის, გამოჩნდა. ხეების ნაწილი გადაწვა. რაც გადაურჩა, ეზოში შეათრია და ახლა უკვე ზღვა შეიყვანა სახლში.

– უცნაურობები მიშასაც ბევრი ჰქონდა.

– ახირებებიც ჰქონდა, მაგრამ ამ კაცმა სახელმწიფო შექმნა. კორუფცია მთლიანად დაამარცხა. ჩვენი ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ ზის კორუფციის მუხლით. არადა, ქოცებისთვის რომ გეკითხათ, 19 მილიარდი მივითვისეთ.

ამათი მოსვლის შემდეგ ერთადერთი, რაც ქვეყანაში აყვავდა, არის კორუფცია.

– „ქართული ოცნება“ ასე არ ფიქრობს. იქ სულაც არ მიიჩნევენ, რომ დღეს საქართველოში კორუფცია ბიბინებს.

– აგერ მიჭირავს შსს-ს დასკვნა. ამ უწყების ინფორმაციით, სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფცია 80%-ით გაიზარდა.

– თქვენთან შედარებით გაიზარდა?

– არა, თავიანთ პირველ ვადასთან შედარებით. ხელისუფლებაში ყოფნის პირველ პერიოდში დაესივნენ ბიუჯეტს და ყველაფერი გადაჭამეს. ეს მაჩვენებელი რომ ოფიციალურად 80%-ით იქნება გაზრდილი, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ვართ.

ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ასობით ჩინოსანი ჰყავთ კორუფციის ბრალდებით დაკავებული.

ერთი რამე დაიმახსოვროს მკითხველმა – სადაც ოლიგარქიაა, იქ კორუფციაა, სადაც კორუფციაა, იქ წინსვლა და გამარჯვება ვერ იქნება.

რა საქმის კეთებაზე და ქვეყნის წინსვლაზე მელაპარაკებით, როცა ივანიშვილი ყველაფერს სახლში მიათრევს. მნიშვნელობა არა აქვს, რა იქნება ეს, ფლორა, ფაუნა, ზღვა, გზა, ტყე. მალე

მთებსაც შეათრევს.

– ხეების და ზღვის შეთრევას არ ჯობდა, პარლამენტიც სახლში შეეთრია? ქვეყანა დაისვენებდა მაინც.

– მერე ვინ გითხრათ, რომ არ ჰყავს პარლამენტი შეთრეული. პარლამენტი მაგის ბუტკაა. ამ ბუტკაში შეყრილი ჰყავს ხიხუშკები და გავრილოვუშკები. მათი მთავარი დანიშნულება ისაა, რომ როცა ოლიგარქი გაუბერავს და სისულელეს იტყვის, ისინი უნდა გამოვარდნენ და უფრო დიდი სისულელეები თქვან, რათა ბელადი გაათეთრონ.

ამ გადარეულის მეორე ბუტკა არის პროკურატურა. ამ ბუტკის უფროსად თავისი პირადი ადვოკატი შალვა თადუმაძე დასვა. ქვეყნის უსაფრთხოება მის დაცვის უფროსს ჩააბარა. ჯანდაცვის სამინისტროს სათავეში ჯერ პირადი მეოყნე ჰყავდა, ახლა პირადი სტომატოლოგი გაამწესა.

ოლიგარქის მესამე ბუტკაა სასამართლო, სადაც მოსამართლეებად ოლიგარქის შერჩეული ხალხია. რანაირ გადაწყვეტილებას ღებულობენ ეს მოსამართლეები, ზვიად კუპრავას საქმიდან გამოჩნდა.

ზვიადზე ყველამ იცით და მოკლედ ვიტყვი. სასამართლო სხდომიდან ბუფეტში შესულს რომ შეუვარდნენ, დარბაზში ამოდიო, უპასუხა – საჭმელს ვჭამ და მაგრად მკიდიაო.

მას არ დაუკონკრეტებია, თუ ვინ ეკიდა. ქოცებმა ეს მოსამართლის შეურაცხყოფად ჩათვალეს და ზვიადი ციხეში გამოკეტეს.

მიშას დროს საქართველო სახელმწიფო იყო, ახლა ბიძინას ბუტკაა. გახსოვთ, ეგ გადარეული პოლიტიკაში რომ მოვიდა, რა ანეკდოტი მოყვა პირველად? ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს კაცი სიმართლეს იტყოდა ოდესმე. არადა მან ანეკდოტით მიგვანიშნა, რის გაკეთებას აპირებდა. ჩვენ ამაში ეჭვიც არ გვეპარებოდა, მაგრამ ხალხს სჯეროდა მისი.

– რომელ ანეკდოტზე საუბრობთ, იჯდეი რაო თუ შედი ქალო ბუტკაშიო?

– შედი ქალო ბუტკაშიო. ეს იყო ერთადერთი სიმართლე, რომელიც ოლიგარქის პირიდან ამოვიდა. მან მთელი საქართველო ბუტკად გადააქცია.

საქართველო ბუტკად რომ არ იყოს ქცეული, მოღალატეებს პოლიტპატიმრის სტატუსი არ ექნებოდათ, ხოლო კოკოითისთან ერთად სააფთიაქო ნარკომანიის წილში მსხდომები მმართველი პარტიის მაღალჩინოსნები არ იქნებოდნენ.

„ნაციონალების დროს ირაკლი კობახიძე ბუჩქებში იჯდა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო უნდა გახდეს“

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე თავის სტიქიაშია და ოპოზიციას ნერვებს უშლის. მან ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ლაშა ჩხარტიშვილსაც მოუშალა ნერვები. წინა ხელისუფლების მიერ ცხრაგზის დაპატიმრებულმა ჩხარტიშვილმა ნასპიკერალს ბუჩქებში ჯდომა წამოაძახა.

რატომ გახდა ამის გახსენება საჭირო, რატომ უნდა გახდეს არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო და როგორ უნდა შეიზღუდოს პარლამენტის წევრების მოსყიდვა? – ამის შესახებ ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

ლაშა ჩხარტიშვილი:

– ოპოზიციის ბრძოლამ შედეგი გამოიღო და „ქართულ ოცნებას“ მაჟორიტარებზე უარი ვათქმევინეთ. საქართველოში არჩევნები პროპორციული წესით ჩატარდება, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ივანიშვილის კრიმინალური ხელისუფლება სახლში მშვიდობიანად გავუშვათ.

ამას კარგად ხვდება ოლიგარქი და ცდილობს, წინასწარ დაიჭიროს თადარიგი, რომ არჩევნები მის სასარგებლოდ დასრულდეს. ბევრი ფიქრის შემდეგ საარჩევნო კლიპების გაკონტროლება გადაწყვიტეს. რუსი ოლიგარქი აპირებს, რომ საარჩევნო კლიპებზე 3/4-იანი ცენზურა დააწესოს.

ამას ოპოზიცია ეწინააღმდეგება. ეს ინიციატივა შეხვედრაზეც გავაპროტესტეთ. ივანიშვილის და სისხლიანი გავრილოვის ხელის ბიჭმა ირაკლი კობახიძემ გაბედა და გვითხრა, ვინც ამ ინიციატივას მხარს არ უჭერთ, ნაციონალების სატელიტები ხართო.

ამ გაურკვეველ პერსონაჟს ამას ნამდვილად ვერ მოვუთმენდი და საჯაროდ ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი მასზე, ვუთხარი, ჩვენ რომ ნაციონალების რეჟიმს ვებრძოდით, შენ ბუჩქებში იჯექი და სახლში გოგლიმოგლს ჭამდითქო.

ისაც დავუმატე, რომ დღეს „ოცნებაში“ უფრო ბევრი ნაცია, ვიდრე თავად ნაციონალურ მოძრაობაში. გავახსენე, როგორ სწირავდა მათი პრემიერი 2012 წელს ნაციონალებს თანხებს. პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარის წარსულიც არ დამვიწყნია, რასაც არჩილ თალაკვაძის მხრიდან პროტესტი მოჰყვა.

– რა გააპროტესტა თალაკვაძემ, ნაციონალებთან არასდროს მიმუშავიაო?

– ამის დამტკიცება უნდოდა, თქვა, ნაცებთან მე რა შუაში ვარ, უბრალოდ, მაგათ დროს ომბუდსმენის ოფისში ვმუშაობდიო. ამაზე ვკითხე, მერე ვის უფლებებს იცავდი იქ მუშაობის დროს-თქო.

ყველა გაქოცებული ნაციონალის ჩამოთვლა მინდოდა, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა და საარჩევნო კანონმდებლობაზე საუბრის დრო აღარ დაგვრჩებოდა.

– თქვენი პარტია ითხოვს, რომ არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო გახდეს.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველ არჩევნებზე ამომრჩევლის რაოდენობა სულ უფრო კლებულობს. ამით პირველ რიგში ოლიგარქი სარგებლობს. გავიხსენოთ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. ამ არჩევნებზე „ოცნებამ“ ამომრჩეველთა ხმების 1/4 მიიღო და პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით შევიდა.

ჩვენი საზოგადოება გასაგები მიზეზების გამო უარს ამბობს არჩევნებზე მისვლაზე. ამიტომ არჩევნებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მათ ჯარიმა უნდა დაეკისროთ. ასეთი სანქციები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში არსებობს და ჩვენც უნდა დავაწესოთ.

არჩევნებზე მისვლა სავალდებულო თუ გახდება, გაუქმდება კოორდინატორების ინსტიტუტი. არჩევნების შედეგების გაყალბებაც უფრო გაჭირდება. ეს ერთხელ და სამუდამოდ დაასრულებს ქვეყანაში ბოლშევიზმს. პარლამენტში ვერც ერთი პარტია ვეღარ გაიყვანს უმრავლესობას.

2020 წლის არჩევნებზე ივანიშვილიც ვერ შეძლებს უმრავლესობით პარლამენტში შესვლას, მაგრამ შეეცდება, სხვა პარტიიდან გასული დეპუტატები იყიდოს. ამან ხომ ყიდვა-გაყიდვის მეტი არაფერი არ იცის.

იმისთვის, რომ მსგავსი ყიდვა-გაყიდვა აღარ გამოვიდეს, ჩვენ გვაქვს ინიციატივა, რომელიც ამის სურვილს ყველას დაუკარგავს. ამას სახელად ლადო კახაძის სახელობის ინიციატივა დავარქვით.

– ლადო კახაძე ლეიბორისტებს დღემდე მწარედ გახსოვთ?

– ერთი პარტიიდან მეორეში გადახტომა ქართულ პოლიტიკაში უცხო ამბავი არაა, მაგრამ კახაძე ამ მხრივ სამაგალითოა. ის ლეიბორისტებიდან მოხვდა თბილისის საკრებულოში და საკრებულოს თავმჯდომარეც გახდა. ძალიან მალე ის მმართველ პარტიაში გადასკუპდა.

მსგავსი რამე არც მომავალშია გამორიცხული, მით უმეტეს, რომ ივანიშვილს ბევრი ფული აქვს. მან პარლამენტის წევრები მასობრივად რომ არ იყიდოს, ასეთი ინიციატივით გამოვდივართ – თუ ესა თუ ის ადამიანი პარლამენტში მოხვედრის შემდეგ იმ პარტიას დატოვებს, რომელმაც ის საკანონმდებლო ორგანოში შეიყვანა, მან პარლამენტის მანდატიც უნდა დათმოს.

პროპორციული არჩევნების დროს, ხალხი პარტიას უჭერს მხარს. ასე რომ, ეს ინიციატივა სამართლიანიც არის და დეპუტატებით ვაჭრობასაც შეუშლის ხელს.

ჩვენ გვაქვს მესამე ინიციატივაც, რომელიც ცესკოს მადას შეზღუდავს. ივანიშვილის დაკვეთების შემსრულებელი თამარ ჟვანიას დაფინანსება ძვირი გვიჯდება. იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვები თმებს აბარებენ, რომ საჭმელი შეჭამონ, ჩვენ თამარ ჟვანიას იამაიკასა და აკაპულკოზე ვასვენებთ.

ეს უნდა დამთავრდეს და ცესკომ მხოლოდ არჩევნების წელს, ისიც რამდენიმე თვით, უნდა იმუშაოს. ეს დრო არჩევნებისთვის მოსამზადებლად სავსებით საკმარისია. ასეთი პრაქტიკა სხვა ქვეყნებშიც არის. საქართველო გაჭირვებული ქვეყანაა და იმის ფუფუნება არ აქვს, ცესკოს თავმჯდომარეს მსოფლიოს გარშემო ტურნე დააფინანსოს.

და კიდევ არჩევნებში სავალდებულო მისვლას დავუბრუნდები. იმაზე, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, „ოცნებასთან“ ერთად ის ამომრჩეველიც არის პასუხისმგებელი, ვინც არჩევნებზე არ წავიდა. ისინი რომ არჩევნებზე მისულიყვნენ, რუსი ოლიგარქი ბოლშევიკად ვეღარ მოგვევლინებოდა.

ბიბილოვმა რუსეთთან შეერთება კიდევ ერთხელ მოითხოვა

ოსები გენოციდის აღიარებაზე პასუხს მოსკოვიდან ელიან

მარიამ მჭედლიშვილი

ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის ადმინისტრაციამ გააკეთა კიდევ ერთი განცხადება საქართველოს ამ კუთხის რუსეთთან მიერთების აუცილებლობის შესახებ.

ცხინვალის რეგიონის რუსეთის ფედერაციაში შესვლის თხოვნით ამ მხარის ხელმძღვანელობას რუსეთის ხელისუფლებისთვის წინა წლებშიც მიუმართავს. ერთი მხრივ, ოსები ენთუზიაზმით ზეიმობდნენ მათი „დამოუკიდებლობის“ აღიარებას, მეორე მხრივ, დაჟინებით ითხოვდნენ რუსეთში ყოფნას.

– სამხრეთ ოსეთი უნდა შევიდეს რუსეთის შემადგენლობაში, რათა ოსი ხალხი გაყოფილი არ იყოს, – აცხადებს დეფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი.

მისი მოსაზრებით, ისტორიულად სწორი იქნებოდა, თუ ეს რეგიონი მიუერთდებოდა რუსეთს, სადაც ოსების სხვა ნაწილი ცხოვრობს. პირველი ნაბიჯი უნდა იყოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა, მეორე კი – ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება.

ბიბილოვის მტკიცებით, გაყოფილი ხალხის განვითარებისთვის აუცილებელია გაერთიანება.

დიდი ალბათობით, ბიბილოვის ბოლო განცხადებები იმ მეთოდიკის ნაწილია, რომელსაც რუსეთი ბოლო ორი თვეა, საქართველოში იყენებს. უცხოელი დამკვირვებლების დასკვნით, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ აამოქმედა სქემა, რომელიც მოიცავს მუქარების მოხაზვას, შემდგომში კი დათმობის იძულებას.

ბიბილოვის მხრიდან გადმოფრქვეული რუსეთისკენ ლტოლვის ახალი ტალღა მარტო აგვისტოს 2008 წლის ომის გახსენებას არ უკავშირდება.

ამას წინ უძღოდა პირადად პუტინის მიერ ოსების გენოციდის ხსენება, რამაც საქართველოს საზოგადოებაში პროტესტი გამოიწვია.

ამ განცხადებიდან ცოტა ხანში ცხინვალის რეგიონის დეფაქტო პარლამენტმა მიიღო მიმართვა რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატისადმი.

ცხინვალელების წარმომადგენლობითი ორგანო რუსეთის ფედერაციას 1920 წლის გენოციდის აღიარებას სთხოვს.

მიმართვის ავტორები ირწმუნებიან, რომ 1920 წელს საქართველოს ჯარმა ჯერ გერმანიის, მოგვიანებით კი დიდი ბრიტანეთის არმიების დახმარებით, მოაწყო ოსების მასობრივი მკვლელობა. ამას ემსხვერპლა რამდენიმე ათასი ადამიანი. გადარჩენილებმა თავი შეაფარეს რუსეთს.

ოსი კანონმდებლების თქმით, ეს მოვლენები შეფასებული არ არის, გენოციდის ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს კი პასუხი არ უგიათ.

მათი სიტყვებით, საქართველოს ხელისუფლება ამის შემდეგაც აგრძელებდა ნაციონალისტურ პოლიტიკას რეგიონის გაქართველების მიზნით. ოსების ეთნიკური წმენდა გაგრძელდა ასევე 1989-1993 წლებში. 2008 წელს ოსები სრული ამოწყვეტისგან მხოლოდ რუსეთის ჩარევამ იხსნა.

მიმართვის ავტორების განცხადებით, 2020 წელს ცხინვალის რეგიონში აღინიშნება ტრაგიკული მოვლენების 100 წლისთავი. ამიტომ სასურველია, რომ რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ აღიაროს მაშინდელი გენოციდი.

მანამდე მიზანშეწონილია ამ თემაზე კონსულტაციების ჩატარება მოსკოვში.

როგორც ჩანს, პუტინი, რომელსაც საკუთარ მოსახლეობაში ავტორიტეტი საგრძნობლად შეელახა და ტექნოლოგიური სვლები სჭირდება, საქართველოზე ზეწოლას და მისი ოკუპირებული რეგიონების მიმართ აქტიურობას გააგრძელებს.

ოსების გენოციდისა და ქართველებზე იერიშის თემა რუსეთმა უკვე შეიტანა დღის წესრიგში. თუ დასჭირდა, კრემლი ცხინვალის რეგიონის რუსეთთან მიერთების საკითხსაც გააქტიურებს.

ბევრი რამ დამოკიდებული იქნება მსოფლიოსა და რეგიონში შექმნილ გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „არ არსებობს ნარკოტიკი, რომელიც მიჩვევას არ იწვევს“

„საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნონსენსია“

გულიკო ბალაძე

ნარკოტიკებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ თავის მორიგ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ საფრთხეს ვერ ხედავს ისეთი ნარკოტიკების მოხმარებაში, რომლებიც არ იწვევს სწრაფ მიჩვევას ან აგრესიულ ქცევას და არ არის იმ ხარისხის, რაც თავისუფლების აღკვეთას გაამართლებდა. პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

„ფონიჭალის დასახლება ნარკოტიკების გასაღების მთავარი ბუდეა“

– ბატონო დიმიტრი, რას იტყვით საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ნარკოტიკების მოხმარებაზე სანქციებს?

– არ არსებობს ფსიქოაქტიური ნივთიერება, რომელიც მიჩვევას არ იწვევს. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ იმსჯელა იმ ტიპის ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაციაზე, რომელიც ძნელად იწვევს მიჩვევას, ან საერთოდ, არ იწვევს მიჩვევას. ეს არის ნონსენსი.

ნარკოტიკთან დაკავშირებით ასეთი რამ აბსოლუტურად მიუღებელია, ვინაიდან მცირე დოზით ნარკოტიკული საშუალების სისტემატიური მოხმარების საბოლოო შედეგი იწვევს 100%-ით ნარკოდამოკიდებულებას.

კონსტიტუციაში უნდა ჩავწეროთ, რომ პირს თვითდაზიანების მიყენების უფლება არ გააჩნია და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება არ არის პირის თავისუფალი განვითარების კონსტიტუციური უფლება, ვინაიდან ასეთი უფლების ბოროტად სარგებლობა ზიანის მომტანია, პირველ რიგში, საზოგადოებრივი საჯარო ინტერესისთვის.

თვითდაზიანების სისტემატიურად მიყენების პროცესი, რასაც ჰქვია ნარკოტიკული საშუალებების სისტემატიური მოხმარება, გამოიწვევს ტვინის დეგრადაციას, პირის ასოციალიზაციას, პირის აფიქსიონირებას, რაც მას გამოუსადეგარს ხდის საზოგადოებრივი საქმიანობისთვის.

ასეთი ადამიანები სხდებიან საჭესთან, არიან მშობლები, პედაგოგები, ექიმები. როგორ შეიძლება ეს ჩაითვალოს ნორმად. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, ყოველწლიურად ქვეყნიდან 100 ათასი ადამიანი გაედინება. გამოდის, ჩვენს გენოფონდს ჩვენ თვითონ ვასამარებთ.

– საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაზე პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს უარყოფითი რეაქცია ჰქონდა. აკაკი ზოიძის განცხადებით, ასეთი გადაწყვეტილება მისთვისაც მოულოდნელი იყო.

– ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც აკაკი ზოიძე მსგავსი ტიპის ლობისტური საქმიანობის წინააღმდეგ გამოდის. ეს მისასალმებელია. მისი საპასუხო განცხადება წავიკითხე. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ბატონი ზოიძე ცალსახად აცხადებს ზუსტად იგივეს, რასაც ახლა მე გეუბნებით – ისეთი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც არ გამოიწვევს დამოკიდებულებას, არ არსებობს და რომელ ნარკოტიკზე გათვლით ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება, გაუგებარია.

თუმცა, იქვე გამოდის ექსპერტი დავით სიხარულიძე, რომელიც აცხადებს, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, მაშინ ჩვენ კვლევა უნდა დავიწყოთ, რომელი ნარკოტიკი არ იწვევს დამოკიდებულებასო. ეს მე საგანგაშო განცხადებად მეჩვენება.

– რატომ?

– ნარკოლოგმა, ექსპერტმა დავით სიხარულიძემ არანაკლებ უნდა უწყოდეს, ვიდრე ბატონმა აკაკი ზოიძემ, რომ არ არსებობს ნარკოტიკული ფსიქოაქტიური ნივთიერების უმცირესი დოზა, რომლის სისტემატიური მოხმარება, ადრე თუ გვიან, მიჩვევას არ გამოიწვევს.

რომელ ნარკოტიკზე შეიძლება ჩატარდეს კვლევა და რატომ უნდა ჩატარდეს, რატომ უნდა დაიხარჯოს ამაზე კიდევ ასეულობით ათასი ლარი, როდესაც ისედაც ცალსახად ჩანს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოების საჯარო ინტერესს და სახელმწიფო ინტერესს ეწინააღმდეგება.

– ყველაფერი დაიწყო მარიხუანის ლეგალიზაციაზე საუბრებით. თავდაპირველად ამბობდნენ, რომ მარიხუანა არ იწვევდა შეჩვევას და ლეგალიზებული უნდა ყოფილიყო. ამბობდნენ, რომ სვანეთში მოიხმარდნენ მარიხუანას საჭმელში სანელებლის სახით. ამაზე რას იტყვით?

– მარიხუანა, იგივე კანაფი, შეიცავს ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, რომლის სახელწოდებაა ჰიტროტეტრაკანაბინოლი. ის განეკუთვნება ფსიქოაქტიური ნივთიერებების პირველ ჯგუფს. ანუ ყველაზე უფრო მძიმედ მოქმედ ჯგუფს.

მარიხუანის მოხმარება, რომელიც გახლავთ ჰალუცინოგენი, გარდაუვლად იწვევს მასზე დამოკიდებულებას, ძალიან მძიმე ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას ისეთ დონეზე, რომ ძალიან მწვავე ფსიქოზებამდე მიდიან ადამიანები და უმძიმეს დეპრესიებში ვარდებიან.

ეს ყველამ ძალიან კარგად იცის. თავის დროზე კანონმდებელმა ყველა ქვეყანაში ჰიდროტეტრაკანაბინოლი იმიტომ შეიყვანა მძიმე ნარკოტიკების ჯგუფში, რომ ის არის მძიმე ნარკოტიკული საშუალება.

მითი მარიხუანის უვნებლობაზე უკანონო ბიზნესით დაკავებული ნარკოკარტელების შემოგდებული მითია.

ამ მითს ჩვენთან ნარკოლობისტები საზოგადოებაში ძალიან აქტიურად აკულტივირებენ და მის მარტივ მიმღებლობას აჩვენებენ.

საზოგადოებრივი პროტესტი მაღალია. ეს ძალიან კარგად დავინახეთ, როდესაც მარიხუანის კულტივაციის კანონმდებლობაზე მიდგა საქმე და მთელი საქართველო ფეხზე დადგა. კანონის ინიციატორებს კი კანონპროექტის უკან წაღება მოუწიათ.

– პარლამენტს უკან დავახევინეთ, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

– საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობა შეიძლება კონსტიტუციაში შესატანი ძალიან ელემენტარული ცვლილებებით, რომელზეც მოგახსენეთ, რომ პირის თავისუფალი განვითარების უფლება არ მოიცავს თვითდაზიანების უფლებას. ზუსტად ამ საკითხზე პარლამენტმა უნდა იმსჯელოს, რათა ასეთი აღვირახსნილი გადაწყვეტილებები საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღოს.

– საკონსტიტუციო სასამართლომ გარკვეული მუხლების დეკრიმინალიზაცია მოახდინა.

– სასამართლოს არ განუსაზღვრავს ნარკოტიკული ნივთიერების ჩამონათვალი. ამგვარ ჩამონათვალს პარლამენტი მიიღებს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალიან ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევს კონკრეტული ფსიქოაქტიური ნივთიერების გამოყენებასთან დაკავშირებით.

სწორედ ამაზე იყო საუბარი, როდესაც აკაკი ზოიძემ განაცხადა, რომ ისეთი ტიპის ნარკოტიკის მოძებნა მას ძალიან გაუჭირდებოდა, რომელიც არ გამოიწვევდა მიჩვევას.

– თუკი არ მოიძებნება ისეთი ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც მიჩვევას არ იწვევს, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ფიქცია გამოდის.

– ფიქცია გამოვა იმ შემთხვევაში, თუკი პარლამენტი მიიღებს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას და არსებული საექსპერტო ცოდნის საფუძველზე დაადგენს, რომ არ არსებობს ისეთი ფსიქოაქტიური ნივთიერება, რომელიც მიჩვევას არ იწვევს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ობიექტი ვერ იქნება რომელიმე ნარკოტიკული საშუალება.

შემზარავი სტატისტიკა გვაქვს – მხოლოდ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 200-ზე მეტი ნარკომოვაჭრე დააკავეს. ბოლო 1 კვირაში გამოვლენილია 6 განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებით მოვაჭრე პირი ფონიჭალის დასახლებაში, სადაც ირანიდან გადმოტანილი იაფი ნარკოტიკული საშუალებები მასობრივად იყიდება.

ამ პროცესს ვერაფერი შველის, რადგან მათ აქვთ დახვეწილი ნარკოტრაფიკის რეალიზაციის სქემა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში ამის გამო საქართველო ყოველწლიურად ხვდება.

ძალიან მძიმე ვითარებაა. ფონიჭალის დასახლება გვევლინება ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მთავარ ბუდედ. ამას შს სამინისტრო ვერაფრით ვერ ერევა, მიუხედავად ასეულობით ნარკომოვაჭრის დაკავებისა.

როგორც ჩანს, ამ უკანონო ბიზნესში მთელი მოსახლეობაა ჩართული.

სამართალი

„შვილები არ ჰყავდა და ძაღლებს უვლიდა“

ავთო ცხვედიანი ძაღლის გადარჩენას შეეწირა

ქობულეთში, საკუთარი ძაღლის გადარჩენის დროს, 51 წლის მამაკაცი დაიხრჩო.

შემთხვევა 5 აგვისტოს, ქობულეთში მდინარე კინტრიშსა და ზღვის შესართავთან მოხდა.

გარდაცვლილი ავთანდილ ცხვედიანია და, როგორც მისმა მეგობარმა პაატა ქუთელიამ ამბებს განუცხადა, ცხვედიანმა ერთი ძაღლის გადარჩენა მოასწრო, მეორესთან ერთად კი დაიღუპა.

მეგობრის თქმით, ავთანდილ ცხვედიანს შვილები არ ჰყავდა და ძაღლებზე ზრუნვით იყო დაკავებული.

– ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა. 51 წლის იყო ავთო, ჩემი უახლოესი მეგობარი. ძაღლები ჰყავდა, ერთ-ერთის გადასარჩენად შევიდა აღელვებულ ზღვაში და ამ დროს დაიხრჩო.

ორი ძაღლი ჰყავდა, უვლიდა მათ და ეს იყო მისთვის ბედნიერება. ერთი დახრჩობას გადაარჩინა და მეორე ძაღლის საშველად რომ შევიდა, ამ დროს სამწუხარო ფაქტი მოხდა. ის იყო უკეთილშობილესი ადამიანი, ერთგული მეგობარი და უწესიერესი ქართველი ვაჟკაცი! ნაკითხი და განათლებული კაცი. ის ყველას დაგვაკლდა, – განუცხადა პაატა ქუთელიამ ამბებს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ქუთაისის აეროპორტში ნარკოტიკების შემცველი მედიკამენტები გამოავლინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტში „ქუთაისის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის ნ.ზ.-ს კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, ნარკოტიკული (19 აბი) და ფსიქოტროპული (50 კაფსულა) ნივთიერებების შემცველი მედიკამენტი გამოავლინეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის წყალტუბოს რაიონული სამმართველოს გადაეცა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

ჩადენილი დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გია აბაშიძე: „ნაციონალების პოლიტიკურად განეიტრალების გარეშე რეალური დეოკუპაცია შეუძლებელია“

აგვისტოს ომის შესახებ „ახალი თაობა“ გია აბაშიძეს ესაუბრა.

– ბატონო გია, აგვისტოში კიდევ უფრო მეტად აქტიურდება 2008 წლის აგვისტოს ომი და ჩვენი საზოგადოებაც ინტენსიურად განიხილავს ამ თემას. როგორია თქვენი შეფასებები?

– რუსეთ-საქართველოს ომიდან 11 წელი გავიდა, თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული ფურცელი. ნაციონალურმა მოძრაობამ აგვისტოს ომის თემა ჩარჩოში მოაქცია, რომლითაც სააკაშვილის ხელისუფლების მაშინდელი მოქმედებების შეფასება ან ნებისმიერი კრიტიკა უდრის ქვეყნის ღალატს.

სააკაშვილმა და აწ უკვე საჯაროდ „ამოსუნთქულმა“ მისმა თანაგუნდელებმა წაგებული ომი მოგებულად გამოაცხადეს! სინამდვილეში საკმაოდ ძვირი გადაიხადა საქართველომ „ამოსუნთქვაში“. ნაცმოძისთვის რუსული საფრთხე იყო და დღემდე რჩება ძალაუფლების მოპოვება-შენარჩუნების საშუალებად. რეალურად კი, არავინ ისე ეფექტურად არ შეუწყო ხელი რუსულ ოკუპაციას, როგორც სააკაშვილის პროვოკაციულმა პოლიტიკამ.

– რას გულისხმობთ რუსული საფრთხისა და ოკუპაციის ხელშეწყობაში, როდესაც ამას ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაზე ამბობთ?

– მიხეილ სააკაშვილის გუნდი, პრაქტიკულად, შემოუძღვა 2008 წელს საქართველოში რუსულ არმიას და შემდეგ ომის დასრულებიდან რამდენიმე თვეში, ხელი მოაწერა საერთაშორისო რეზოლუციას, რომლის შესახებაც საზოგადოებისთვის მაშინ ნაკლებად იყო ცნობილი. დავაკონკრეტებ – მხედველობაში მაქვს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (პასე), 2008 წლის ოქტომბრის დადგენილების მე-5 პუნქტი: „ქართველი სამხედროების მიერ 2008 წლის 7 აგვისტოს, გაფრთხილების გარეშე, ცხინვალის დაბომბვის დაწყებამ ესკალაცია ახალ დონეზე გადაიყვანა, კერძოდ, სიტუაცია ღია და ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა“.

სააკაშვილის „ამოსუნთქულებმა“ დროულად არ მიმართეს გაეროს უშიშროების საბჭოს აგრესიის შეჩერების მოთხოვნით, საერთაშორისო საზოგადოებამ კი მიიღო ტალიავინის კომისიის დასკვნა, რომელიც ასევე მძიმედ აღწერს მაშინდელი ხელისუფლების პასუხისმგებლობას.

– სააკაშვილი და მისი გუნდი დღემდე ხაზგასმით ამბობენ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთთან გარდაუვალი იყო და მან და მისმა ხელისუფლებამ 2012 წელს ვერ შეძლეს საქართველოს გადარჩენა, რადგან პუტინის მხარდაჭერით მოვიდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება.

– სააკაშვილის მეთოდი და უტიფრობა რომ უცვლელია, ეს არაა ახალი. ამჟამინდელ ხელისუფლებას აბრალებს იმას, რაც თავად გააკეთა.

ოკუპაციის ავტორმა/თანაავტორმა ცინიკურად ანტისაოკუპაციო მოძრაობა შემოგვთავაზა.

და გავიხსენოთ, რა უძღოდა წინ 2008 წლის ზაფხულის მოვლენებს.

2006-ში გვახსოვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური დარტყმის ქვეშ მოქცევა, როცა ასევე ნაციონალური მოძრაობის პროვოკაციული პოლიტიკის გამო, ჩვენი თანამოქალაქეები რუსეთიდან გამოყარეს საბარგო თვითმფრინავებით, შეწყდა ვაჭრობა და რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენებმა ნახეს უდიდესი ზარალი, რაც ბუნებრივია, ისევ ჩვენს ქვეყანაზე აისახა, რადგან ამ ფულის დიდი ნაწილი ისევ საქართველოში შემოდიოდა.

მანამდე კი, 2004-ში, ექსპრეზიდენტის იმპულსურმა პოლიტიკამ დაასამარა ქართულ-ოსური დაახლოების კურსი. სამშვიდობო პროცესი შეეწირა სააკაშვილის ამბიციას.

ამ ზაფხულს გაბუნიას ტელემიმართვაზე აღარ შევჩერდები...

– და მაინც სულ არის მინიშნება იმაზე, რომ რუსეთის პროვოკაციაზე წამოეგო ქართული მხარე. ამაზე რას ფიქრობთ?

– შეკითხვა, ვინ დაიწყო ომი, არ საჭიროებს სხვადასხვა პასუხს. რასაკვირველია, რუსეთმა და, ბუნებრივია, ბევრად უფრო ადრე! ჩვენ ომს ვერ დავიწყებდით ჩვენივე ქვეყნის ტერიტორიაზე. ჩვენ საბრძოლო მოქმედებებით მოვახდინეთ ომის პროვოცირება. საბრძოლო მოქმედებები დაიწყო სააკაშვილმა, რაც იყო პროვოკაცია!

– როგორ ხედავთ დეოკუპაციისა და მშვიდობის დამყარების პერსპექტივას ორ ქვეყანას შორის?

– საზოგადოებაში აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ომზე და ყველაფერს თავის სახელი დავარქვათ, რადგან ნაცმოძრაობა დღესაც რევანშისთვის იბრძვის და ცდილობს, ამ თემაზე ტაბუების დადებით დამალოს სიმართლე.

დეოკუპაციისთვის მნიშვნელოვანია სამშვიდობო და პრინციპული პოლიტიკა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება საერთაშორისო ასპარეზზე პრინციპულია რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ ის არაა პრინციპული ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების შეფასებაში. არადა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და ვთქვათ, რომ რევანშისტული ძალის პოლიტიკურად განეიტრალების გარეშე რეალური დეოკუპაცია შეუძლებელია.

არსებული დღის წესრიგით შორს ვერ წავალთ – ჩვენ უნდა მოვითხოვოთ პასუხი გარეთ რუსეთისგან და შიგნით მოვთხოვთ პასუხი ყოფილ უმაღლეს მთავარსარდალს მიშას. მშვიდობიანი მოლაპარაკებები დასავლელი პარტნიორების ჩართულობით უალტერნატივოა! საქართველო მშვიდობიანი პოლიტიკით გაერთიანდება!

„ეს შეიძლება დამთავრდეს დაკავებით“ ნიკა გვარამია ისევ სასამართლოში დაიბარეს

გუშინ, 7 აგვისტოს, რუსთავი 2-ის ყოფილი გენერალური დირექტორი სასამართლოში მივიდა. ამჯერად ნიკა გვარამია გამოკითხვის ოქმის გასაცნობად დაიბარეს.

ნიკა გვარამია დარწმუნებულია, რომ 3 მძიმე მუხლით დაწყებული გამოძიების მთავარი სამიზნე მისი განეიტრალებაა და ბიძინა ივანიშვილის პირადი შურისძიების მოტივით მის დაკავებასაც არ გამორიცხავს.

პროკურატურა გვარამიას კომპანიის საზიანო ქმედებას ედავება, მათ შორის თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხის მითვისება-გაფლანგვას.

ნიკა გვარამია აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარეობს უკანონო პროცესი. მან იცის, რომ უდანაშაულოა და რა გადაწყვეტილებაც უნდა იქნას მიღებული, ის სამართლებრივ ასპექტებს არ ეყრდნობა.

– როდესაც თხზავენ დანაშაულს, იქ ხომ ზღვარი არ არსებობს. როგორ უნდა ვიმკითხაო, უკანონობა სადამდე მივა. ამისი წინასწარმეტყველება შეუძლებელია. მე ვიცი, რომ არაფერი არ ჩამიდენია. შეუძლებელია ჩემთვის რამის ინკრიმინირება. და კანონს რომ მიჰყვებოდეს პროკურატურა და სასამართლო, მე შემიძლია წინასწარმეტყველება, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ეს ესე არ არის.

უკანონობის წინასწარმეტყველება შეუძლებელია. ეს შეიძლება დამთავრდეს დაკავებით, ეს შეიძლება დამთავრდეს სხვა რამე გზით. მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. რაც მე ვთქვი, ის მაინც გაკეთდება. არ მადარდებს საერთოდ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი აზრით, გამოძიება მის მიერ დაანონსებულ ტელევიზიის შექმნას უკავშირდება.

– აბა რა არის მიზანი? შეთხზული ბრალი. წარმოუდგენელი რამე ხდება. თან ვინ მედავება, ქურდის ქურდი. წარმოუდგენელი რამე ხდება. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ჩვეულებრივ ვითარებაზე, ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, სადამდე წავა უკანონობა. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ჩემთვის ნებისმიერი განვითარება არის აბსოლუტურად გასაგები. მზად ვარ ნებისმიერი განვითარებისთვის და ის ადამიანები, რომლებიც მუშაობენ ჩემთან ერთად და გუნდი უკვე არსებობს და ყველას თავისი დავალება აქვს, მაინც მიიყვანენ საქმეს ბოლომდე. მთავარი უკვე გაკეთებულია. ძირითადი გუნდი არსებობს და მათ იციან, რა უნდა ქნან. ახლა მე სად ვიქნები ამ დროს, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, – აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

რა ნაბიჯებს გადადგამს პროკურატურა? – პროგნოზის გაკეთება უჭირს ნიკა გვარამიას უფლებადამცველსაც.

– პროკურატურის სამომავლო ნაბიჯების წინასწარ გათვლა შეუძლებელია, იმიტომ, რომ ეს საქმე არის თავიდან ბოლომდე შეთითხნილი და, შესაბამისად, აქ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს სამართლებრივ მხარეს, ეს არის მთლიანად პოლიტიკური საქმე. შესაბამისად, დამოკიდებულია მხოლოდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე.

რა გადაწყვეტილებას მიიღებენ და რას მოიმოქმედებენ, ეს ამ ეტაპზე უცნობია, – განაცხადა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

მოსამართლე კაპანაძემ ომარ გამყრელიძის შვილიშვილის საქმე არ შეწყვიტა

გუშინ, 7 აგვისტოს, თელავის რაიონულ სასამართლოში, ყანდაურაში 5 ადამიანის მკვლელობის საქმეზე დაკავებული ომარ გამყრელიძის 24 წლის შვილიშვილის, ომარ გამყრელიძე-უმცროსის წინასასამართლო სხდომა გაიმართა.

პროცესი სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა, სადაც მხარეებმა შუამდგომლობები განიხილეს.

გამყრელიძის ადვოკატი რამდენიმე გამოკითხვის ოქმის სადავოდ ცნობას ითხოვდა, მათ შორის საქმის გამომძიებლების, ექსპერტების და ბრალდებულის.

ბრალდების მხარემ მოითხოვა, დაცვის მხარის მტკიცებულებები დაუშვებლად ეცნო, რაც მოსამართლე თამარ კაპანაძემ არ დააკმაყოფილა.

თამარ კაპანაძემ ასევე არ გაითვალისწინა ომარ გამყრელიძე-უფროსის ადვოკატ გილერი ენდელაძის შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ.

სასამართლო პროცესს თავად ბრალდებულიც ესწრებოდა.

შეგახსენებთ, ყანდაურაში მკვლელობიდან ორ დღეში, საგარეჯოს პოლიციამ ომარ გამყრელიძე-უმცროსი საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვის ბრალდებით დააკავა.

მომდევნო სასამართლო სხდომა 15 აგვისტოს 13:00 საათზე ჩაინიშნა.

20 ივნისის აქციაზე დაკავებული ნიკოლოზ შარვაშიძე სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

20 ივნისის აქციაზე ერთ-ერთმა დაკავებულმა საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცა. თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რაც ნიკოლოზ შარვაშიძის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას დაადასტურებდა.

შედეგად, სასამართლოს დადგენილებით, „თელავის დემოკრატიის სკოლის“ ხელმძღვანელის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოება შეწყდა.

შარვაშიძეს წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციელის დაუმორჩილებლობაში ადანაშაულებდნენ. პარალელურად, პროკურატურა ნიკოლოზ შარვაშიძის მიმართ სამართალდამცველთა მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების საქმეზე გამოძიებას აწარმოებს.

– ჰქონდათ მხოლოდ სამართალდარღვევის ოქმი, შესაბამისად მათი მხრიდან სხვა მტკიცებულება არ ყოფილა, ჩვენ მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამო, მოსამართლემ შეწყვიტა სამართალწარმოება და მცნო უდანაშაულოდ, – განაცხადა შარვაშიძემ.

საკუთარი მანქანით მიაჯახა კედელს და მოკლა

სასამართლომ ნ.ჩ.-ს 12 წელი მიუსაჯა

თბილისის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ნ.ჩ. ერთხმად დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ბრალდების მხარემ სასამართლო პროცესზე ბრალდებულ ნ.ჩ.-ს მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენა დაადასტურა უტყუარი, ურთიერთშეთანხმებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით.

პროკურორებმა წარადგინეს და დაკითხეს ათობით მოწმე, გამოიკვლიეს ექსპერტიზის დასკვნები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და მკვლელობის ადგილზე აღმოჩენილი არაერთი კვალი, რომელთა ერთობლიობით უტყუარად დადასტურდა, რომ 2018 წლის 25 მარტს, ნ.ჩ. შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ნ.ნ.-ს საკუთარი ავტომანქანით დაეჯახა და მიანარცხა კედელს, რის შედეგადაც ნ.ნ. გარდაიცვალა.

ნაფიცი მსაჯულების მიერ ერთხმად მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე სასამართლომ ნ.ჩ. დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

ნიდერლანდებიდან შემოტანილ ქათმის გაყინულ ხორცში სალმონელა იპოვეს

საბაჟო გამშვებ პუნქტში „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, 6 აგვისტოს, ნიდერლანდების სამეფოდან შემოტანილი 28.000 კგ. ქათმის გაყინული ხორცის ლაბორატორიული შემოწმების შედეგად, სალმონელა გამოვლინდა.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

აღნიშნული საქონელი ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნებას დაექვემდებარა.

2 ქალის გაუპატიურების მცდელობისთვის კ.ხ.-ს 6 წელი მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ორი პირის გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ორი პირის მიმართ გაუპატიურების მცდელობის ჩადენაში ბრალდებული კ.ხ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 2 იანვარს, დაახლოებით 20:30 საათზე, ქ.თბილისში კ.ხ. ძალადობისა და მუქარის გამოყენებით ორი ქალის გაუპატიურებას შეეცადა.

იგი ჯერ ლ.მ.-ს დაესხა თავს, კისერზე მოუჭირა ხელი და სიცოცხლის მოსპობის მუქარით მის გაუპატიურებას შეეცადა. დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევისა და გამვლელი მოქალაქეების გამოჩენის გამო კ.ხ.-მ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო.

აღნიშნულის შემდეგ, კ.ხ. იგივე განზრახვით ნ.შ.-ს დაესხა თავს. ყელზე მოუჭირა ხელი, ძალის გამოყენებით შეიყვანა გამწვანების ზოლში, ყელზე მიაბჯინა დაუდგენელი საგანი და სიცოცხლის მოსპობის მუქარით სქესობრივი კავშირის დამყარება მოითხოვა. დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის და გამვლელი მოქალაქეების გამოჩენის გამო კ.ხ.-მ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა კ.ხ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში ქ.თბილისში დააკავეს. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 19.137-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (გაუპატიურების მცდელობა; 2 ეპიზოდი) წარუდგინა. კ.ხ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ კ.ხ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

პაკისტანმა ინდოეთთან ქაშმირის გამო შეიძლება ომი დაიწყოს



პაკისტანი აცხადებს, რომ შესაძლოა, ინდოეთის მიერ ქაშმირის ნახევრად ავტონომიის სტატუსის გაუქმება ორ ქვეყანას შორის ომის მიზეზი გახდეს.

პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა იმრან ხანმა განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობის მცდელობის გამო, ქაშმირი ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შეუერთოს, გაბრაზებულმა ქაშმირელებმა შესაძლოა, იქ განთავსებულ ინდოელ პოლიციელებსა და ჯარისკაცებზე თავდასხმა დაიწყონ.

იმრან ხანის მტკიცებით, თუკი ნიუ დელი ასეთი თავდასხმისთვის პაკისტანს დაადანაშაულებს, ეს ორ ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანას შორის შეიარაღებულ კონფლიქტს გამოიწვევს.

ამასთან, პაკისტანის არმიის ხელმძღვანელმა, გენერალმა ქამარ ჯავედ ბაჯუამ განაცხადა, რომ პაკისტანის არმია ქაშმირელების გვერდით დგას და ის მათ მხარდასაჭერად მზადაა.

– ჩვენ მზად ვართ, ბოლომდე ვიდგეთ ქაშმირელი ხალხის გვერდით და ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი ვალდებულებების შესასრულებლად, – განაცხადა პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა.

ინდოეთის პრეზიდენტმა რამ ნათხ კოვინდიმ ხელი მოაწერა დებულებას, რომლის მიხედვითაც, ინდოეთის მთავრობა შტატ ჯამუსა და ქაშმირს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სპეციალურ სტატუსს ჩამოართმევს.

ინდოეთმა და პაკისტანმა ქაშმირი 1947 წელს გაიყვეს, როცა დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ ქაშმირისთვის მხარეებმა ორჯერ იომეს.

აშშ-ის ელჩი რუსეთში გადადგა

აშშ-ის ელჩი რუსეთში ჰანტსმანი გადადგა.

სავარაუდოდ, ჰანტსმანი პოსტს 3 ოქტომბერს დატოვებს.

ჰანტსმანი მშობლიური იუტას შტატის გუბერნატორობისთვის იბრძოლებს. მისი გადადგომის მიზეზიც ესაა.

ბრიტანეთი პასეში რუსეთის დაბრუნების წინააღმდეგია

ბრიტანეთი რუსეთის პასეში დაბრუნების წინააღმდეგია. ამის თაობაზე ბრიტანეთის წარმომადგენელმა პასეში კრისტოფერ ივონმა განაცხადა.

მიზეზი მოსკოვის სახელმწიფო დუმის არჩევნებში ოპოზიციის არდაშვება და საპროტესტო აქციების სასტიკი დარბევაა.

– რუსეთი აღებულ ვალდებულებებს არ ასრულებს და ადამიანის უფლებებს არღვევს, – თქვა ივონმა.

უკრაინის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ბერიოზა მიიჩნევს, რომ რუსეთს პასეში სერიოზული პრობლემები შეექმნება.

– მოსკოვის პასეში დაბრუნება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, – ამბობს ბერიოზა.

ავღანეთში თალიბანმა ტერაქტი მოაწყო

დაიღუპა 14 და დაშავდა 145 ადამიანი

გუშინ, 7 აგვისტოს, ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში მომხდარი აფეთქების შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა და 145 ადამიანი დაშავდა.

დაღუპულთაგან 4 პოლიციელია, დაშავებულებიდან კი 92 – მშვიდობიანი მოქალაქე.

აფეთქება გუშინ დილით პოლიციის შენობასთან მოხდა. მასზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფება თალიბანმა აიღო. აფეთქება თვითმკვლელმა განახორციელა.

ავღანეთის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაჭრილებს შორის ქალები და ბავშვებიც არიან.

მომხდარზე განცხადება გაავრცელა თალიბანმაც.

„ბევრი პოლიციელი და ჯარისკაცი დაიღუპა და დაშავდა," – ნათქვამია მის განცხადებაში.



შეტაკებები ინგუშეთში

ინგუშეთში არ წყდება შეტაკებები ადგილობრივ პარტიზანებსა და რუსეთის ძალოვან სტრუქტურებს შორის.

ფსბ-ს ჯგუფმა სოფელ ვოზნესენსკოეში რეიდის დროს პარტიზანები აღმოაჩინა. ატყდა სროლა.

1 პარტიზანი დაიღუპა, სხვებმა ალყა გაარღვიეს და მიიმალნენ.

დაიღუპა 2 რუსი ძალოვანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მსოფლიოს ყველაზე მოგზაური ერი დასახელდა

მსოფლიოში ყველაზე ხშირად მოგზაურები გაერთიანებული სამეფოს მცხოვრებლები აღმოჩნდნენ. ამაზე საუბარია საჰაერო მიმოსვლის საერთაშორისო ასოციაციის ანგარიშში.

ასოციაციის მონაცემებით, გაერთიანებული სამეფოს დაახლოებით 126 მილიონი მოქალაქე გაემგზავრა თვითმფრინავით საზღვარგარეთ (მსოფლიოს ყველა მგზავრის 8,6 პროცენტი). მეორე ადგილზე ამერიკელები აღმოჩნდნენ – აშშ-ის დაახლოებით 115 მილიონმა მცხოვრებმა იმგზავრა თვითმფრინავით 2018 წელს (7,6 პროცენტი).

მესამე პოზიციაზე ჩინელები აღმოჩნდნენ – 97 მილიონი მგზავრით (6,6 პროცენტი), მეოთხე ადგილი დაიკავეს გერმანელებმა – 94 მილიონი მგზავრით (6,4 პროცენტი), მეხუთეზე კი ფრანგები გავიდნენ – თითქმის 60 მილიონი მოგზაურით (4,1 პროცენტი).

10 წლის თმაშეუჭრელმა მოზარდმა სტილისტი გააოგნა

უელსელმა მოზარდმა ოუეინ ტომასმა ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად გადაწყვიტა თმების შეჭრა, რაც სტილისტს დიდ ოფლისღვრად დაუჯდა.

მშობლების თქმით, მათი 14 წლის ბიჭს თმების გაზრდა სურდა, როგორც ეს სერფერებს აქვთ და არაფრით თანხმდებოდა მშობლების თხოვნას თმები შეეჭრა. წლების განმავლობაში მისი თმები ერთმანეთში გადაიხლართა. მოზარდის ასეთი გარეგნობით უკმაყოფილებას არ მალავდნენ არც მისი მასწავლებლები, მაგრამ ბიჭს სტილისტების ეშინოდა და ნაცნობ სტილისტთან თმების შესაჭრელად მისვლაზეც კი უარს აცხადებდა.

იმისთვის, რომ მოზარდი აეძულებინათ, თავი წესრიგში მოეყვანა, მშობლებმა ბიჭი დაარწმუნეს, რომ დასაწყისისთვის მას თმების მცირედ შესწორება არ აწყენდა. ბავშვის მამა შვილის გადაწყვეტილებას თმები შეეჭრა, მეტად თამამ ნაბიჯს უწოდებს, მისი სტილისტების მიმართ შიშის გათვალისწინებით.

სტილისტი, რომელსაც ტომასების ოჯახმა მიმართა, ბიჭის თმების მდგომარეობამ განაცვიფრა.

– ჩემ ცხოვრებაში პირველად მომიხდა ასეთ თმებთან შეხება... მსგავსი არასოდეს არაფერი მინახავს. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოსდა კარტოფილს ვთლიდი, – განაცხადა სტილისტმა ჯეიმს უილიამსმა.

სპეციალისტის აღიარებით, თავიდან ის არ იყო დარწმუნებული, რომ ამ საქმეს თავს გაართმევდა. თავდაპირველად, მან თმების გაუხეშებული ნაწილები მოიშორა, რომლის ქვეშაც ნატურალური თმები მოჩანდა.

საბოლოო შედეგმა გააოცა არა მხოლოდ მშობლები, არამედ თავად მოზარდიც. მან სტილისტის რჩევები მოისმინა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაეზარდა ნამდვილი გრძელი თმები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლინდსი ლოხანი საუდელ პრინცთან რომანშია ეჭვმიტანილი

ლინდსი ლოხანის ნაცნობებმა მსახიობსა და საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე პრინც მუჰამედ ბინ სალმან ალ საუდის ურთიერთობაზე ისაუბრეს.

გავრცელებული ხმების თანახმად, მუჰამედი ლოხანს საჩუქრებით ანებივრებს, კერძოდ, საკრედიტო ბარათი მიართვა და უფლებას აძლევს საკუთარი თვითმფრინავებით ისარგებლოს. მსახიობის ახლობლები ამტკიცებენ, რომ საკუთარი თვალით ნახეს ის სმს-ს შეტყობინებები, რომელთაც ისინი ერთმანეთს უგზავნიან. ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემას კი მსახიობის გარემოცვამ დაუდასტურა, რომ ის მართლაც იცნობს საუდის პრინცს.

მსახიობის პრეს-მდივანმა უარყო ინფორმაცია პრინცის მიერ ლოხანისთვის საკრედიტო ბარათის ჩუქებაზე. მისი მტკიცებით, ლინდსი და მუჰამედი ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ, როდესაც დაახლოებით ერთი წლის წინ ერთად ესწრებოდნენ „ფორმულა-1" გრან-პრის.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეორი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

თბილისის დინამო როტერდამში ჩავიდა და დღეს ფეიენოორდს შეხვდება

როგორც კი გაირკვა, რომ ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის დინამოს მეტოქე როტერდამის ფეიენოორდი იქნებოდა, სტაჟიან გულშემატკივრებს მაშინვე ამოუტივტივდათ თავში 1981 წელი – წელი ქართული ფეხბურთის ტრიუმფისა.

1981 წელს თბილისის დინამომ ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო, რომლის ნახევარფინალში სწორედ ფეიენოორდი დაამარცხა. დინამოელებმა შინ 3:0 მოიგეს – გოლები თენგიზ სულაქველიძემ (2) და ვლადიმერ გუცაევმა გაიტანეს. საპასუხო მატჩი მძიმე იყო. ავსტრიელი მსაჯი ვიორელი ყველაფერს აკეთებდა, რომ დინამო ფინალში არ გასულიყო. არ ჩაგვითვალა 3 გოლი, არ დადო პენალტი მასპინძელთა კარში. ამასობაში, ფეიენოორდმა 2 გაიტანა და რომ არა დინამოელთა დიდი ძალისხმევა. ალბათ მესამესაც გაატანინებდნენ. საბოლოოდ, დინამო ფინალში გავიდა, სადაც იენის კარლ ცაისი 2:1 დაამარცხა და პრესტიჟულ ჯილდოს დაეუფლა.

ფეიენოორდი იმითაც არის ნაცნობი, რომ 1997 წელს თბილისის დინამოდან 20 წლის გიორგი დემეტრაძე გადავიდა და როტერდამულ გუნდში წელიწადნახევარი დაჰყო.

დინამო დღეს ფეინოორდს ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში შეხვდება. გუნდი უკვე როტერდამშია, ჯერ მსუბუქად ივარჯიშა, შემდეგ მატჩისწინა ვარჯიში „დე კუიპზე“ გამართა, სადაც დღეს მატჩი გაიმართება.

როტერდამული კლუბი ევროპა ლიგაზე მე-3 ეტაპიდან ერთვება. ფეიენოორდმა ერედივიზიონის გასული სეზონი მე-3 ადგილზე დაასრულა, ითამაშა ჰოლანდიის თასის ნახევარფინალში, ევროპა ლიგას კი ამავე ეტაპზე სლოვაკურ ტრენჩინთან გამოეთიშა, რომელთანაც 2 მატჩის ჯამში 1:5 დამარცხდა. 2017-18 წლების სეზონში კი, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზა, სადაც 6-დან 5 მატჩი დათმო.

ფეიენოორდში 29 ფეხბურთელი ირიცხება, რომელთა საერთო ღირებულება 84.33 მილიონი ევროა, მაშინ, როდესაც დინამოს მოთამაშეთა საერთო ფასი 6.7 მილიონია.

ჰოლანდიელთა ყველაზე ძვირად შეფასებული მოთამაშე სტივენ ბერგვისი დინამოს მთელ შემადგენლობაზე თითქმის 2-ჯერ ძვირია. გასულ სეზონში საკუთარ კლუბში საუკეთესო ბომბარდირებს შორის მეორე ადგილზე გავიდა 12 გოლით, ამ მხრივ საუკეთესო კი ლეგენდარული ჰოლანდიელი რობინ ვან პერსი იყო, რომელმაც საფეხბურთო კარიერა რამდენიმე კვირის წინ დაასრულა.

ფეიენოორდმა მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის დროს 4 ახალი ფეხბურთელი დაიმატა, თუმცა მათში ფული არ გადაუხდია.

ყველაზე გამორჩეული ლეროი ფერია, რომელიც კლუბს სუონსიდან შეუერთდა. მან გასული სეზონი ჩემპიონშიპში გაატარა, თუმცა მანამდე 5 სეზონი სხვადასხვა პრემიერლიგურ კლუბში ასპარეზობდა.

ასევე სუონსიდან მივიდა მარჯვენა შემტევი ლუსიანო ნარსინი, რომელმაც, ფერის მსგავსად, 2 სეზონი ინგლისის მთავარ საფეხბურთო ლიგაში გაატარა, 2018-19 წლებში კი ჩავარდნა ჰქონდა და ჩემპიონშიპში მხოლოდ 2-ჯერ გამოჩნდა.

დანარჩენი 2 – ლაიამ კელი და ნიკ მარსმენი კი, შესაბამისად, რედინგიდან და უტრეხტიდან შეუერთდა კლუბს.

ყველაზე საშიში ზემოთ ნახსენები სტივენ ბერგვისია, რომელმაც გასულ სეზონში 12 გოლთან ერთად ამდენივე საგოლე გადაცემაც მიითვალა და ამით საკუთარ გუნდში საუკეთესო იყო.

ერედივიზიონში 8 გოლითა და 5 პასით გამოირჩა იენს ტოორნსტრა, შვედ იან ლარსენს კი 6 გოლი და 9 შედეგიანი პასი ჰქონდა.

ერედივიზიონი ახლახან დაიწყო და ფეიენოორდმა მხოლოდ ერთი მატჩი გამართა – „დე კუიპზე“ როტერდამულ დერბიში სპარტა მიიღო და 2:2 ეთამაშა, არადა, 2-ჯერ აგებდა და ქულა 94-ე წუთზე მოიპოვა.

ამ შეხვედრაშიც გამოიჩინეს თავი ბერგვისმა და ლარსენმა, ახალწვეულმა ნარსინმა კი საგოლე პასი გააკეთა.

ფეიენოორდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობას წარსულში ძალიან ცნობილი მცველი იაააპ სტამი იკავებს, რომელიც სხვადასხვა დროს მილანში, ლაციოსა და მანჩესტერ იუნაიტედში თამაშობდა.

მან სამწვრთნელო კარიერა 2009 წელს ზვოლეში დაიწყო, მთავარი მწვრთნელის პოსტი კი 2014 წელს აიაქსის ახალგაზრდულ გუნდში დაიკავა. შემდეგ 2 სეზონის განმავლობაში რედინგს წვრთნიდა. მისი მეთაურობით კლუბმა ჩემპიონშიპში 98 შეხვედრა გამართა, სადაც 41 მოიგო, 21 შეხვედრა ფრედ დასრულდა, 36-ში კი დამარცხდა.

სტამი ფეიენოორდის მთავარ მწვრთნელად გასულ თვეში დაინიშნა და მისი ხელმძღვანელობით კლუბმა ზემოთ ნახსენები სპარტასთან შეხვედრა გამართა.

ფეიენოორდი ევროპული გრანდი ნამდვილად არ არის, თუმცა ჰოლანდიაში ეს სახელი აქვს და სრულიად დამსახურებულადაც. რამდენიმე წლის წინ კლუბმა ერედივიზიონი მოიგო. ქვეყნის გამორჩეული ვარსკვლავები (მაგალითად, ნახსენები რობინ ვან პერსი) კარიერის ბოლო წლებს სწორედ ამ კლუბში ატარებენ.

გარდა ამისა, კლუბი დიდ ფულს იღებს ფეხბურთელების გაყიდვით და არც თვითონ იხდის ცოტას.

ფეიენოორდს აქვს საშუალება, კლუბში ფეხბურთელები ტოპ 5 დივიზიონიდან მოიყვანოს, რაც ქართულ რეალობაში ერთადერთხელ მოხდა, მაშინ, როდესაც დინამომ ლევანტედან ჩისკო დაიმატა, რომელიც წელს ქართული ფეხბურთის ფლაგმანს მწვრთნელის რანგში ემსახურება.

ამ ბარიერის დაძლევა თბილისელთათვის ურთულესი ამოცანა იქნება, თუმცა ყველაფერი შესაძლებელია.

რუსთავმა ჩიხურას მოუგო

<u>რუსთავი-ჩიხურა 1:0</u>

რუსთავი. ტექნიკური ცენტრი

1:0 გუჯაბიძე (22)

რუსთავი: მამარდაშვილი, ც.კაპანაძე, ლაცაბიძე, ლ.გადრანი, ნოზაძე (სიჭინავა 72), ვასაძე, სილაგაძე, გუჯაბიძე (ბუგულოვი 81), ქოჩლაძე, ქავთარაძე (ძალამიძე 80), ლუკა იმნაძე

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი (დეკანოიძე 78), მაისაშვილი, კორიფაძე, ჩიკვაიძე, კაშია, მარკოზაშვილი (კამლაძე 90), ლექვთაძე, სარდალიშვილი, ერგემლიძე (ჩიხლაძე 62), ფანცულაია

იმის გამო, რომ საჩხერის ჩიხურა ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობდა, ეს მატჩი 2 დღის დაგვიანებით ჩატარდა. თუმცა, დასვენებამ ზემო იმერულ გუნდს მაინც ვერ არგო და ეროვნული ლიგის 22-ე ტურში რუსთავში მარცხი განიცადა – 0:1.

გამარჯვების გოლი პირველ ტაიმში გუჯაბიძემ მეტოქის მცველების შეცდომის შედეგად გაიტანა, რომლებმაც ბურთი საჯარიმოდან დროულად ვერ აიტანეს.

მთლიანობაში რუსთაველებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ და საწადელსაც მიაღწიეს.

ამ 3 ქულით რუსთავმა საქმე გამოიკეთა. მიუხედავად იმისა, რომ 22 ქულით ბოლოსწინა, მეცხრე ადგილზე არიან, არც კონკურენტები არიან შორს. ჩიხურამ კი, საქმე გაირთულა და უკვე მეტოქეთა სუნთქვა ესმის.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	22	14	2	6	45-23	44
2.საბურთალო	21	12	4	5	38-26	40
3.დინამო (ბთ)	22	12	4	6	34-22	40
4.ტორპედო	21	10	4	7	42-33	34
5.ლოკომოტივი	22	10	2	10	27-29	32
6.ჩიხურა	22	6	9	7	28-23	27
7.დილა	22	7	5	10	24-26	26
8.სიონი	22	7	4	11	24-52	25
9.რუსთავი	22	5	7	10	25-36	22
10.ვიტ ჯორჯია	22	4	3	15	11-28	15

ბასილაშვილი მონრეალში იგებს

ჰამბურგის ტურნირის მოგების შემდეგ წარმატებულ სვლას აგრძელებს საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი. ჩვენებურმა მონრეალის მასტერსის მე-2 წრეც გაიარა – ამჯერად იან-ლენარდ შტრუფი დაამარცხა და მერვედფინალში გავიდა.

ქართველმა, რომელიც ტურნირზე მე-13 ნომრადაა განთესილი, გერმანელ ჩოგბურთელს 3 სეტში, 2:6, 6:2, 6:3 მოუგო.

შტრუფთან, რომელიც ქართველის მეწყვილეა, ბასილაშვილმა პირველი სეტი ჩააგდო – 2:2-ზე გერმანელმა ნიკას 2 ბრეიკი აუღო და, საბოლოოდ, სეტი 6:2 მოიგო. მე-2 და მე-3 სეტში კი ბასილაშვილმა ფავორიტის სტატუსი გაამართლა, კარგად ათამაშდა და მეტოქეს თამაში შეუტრიალა.

ამ მატჩამდე, ნიკას რეიტინგში 1.975 ქულა ჰქონდა. შტრუფთან გამარჯვების შემდეგ კი უკვე 2.020 ქულა აქვს. ბასილაშვილმა ამდენ სარეიტინგო ქულას კარიერაში პირველად მიაღწია.

2.930 ქულა – ეს არის მაქსიმუმი, რისი მიღწევაც ქართველს მონრეალში შეუძლია. ოღონდ, ამისთვის მან მასტერსი უნდა მოიგოს. ასეთ შემთხვევაში, ნიკა შეიძლება მსოფლიოს მე-8 ჩოგანი გახდეს, თუმცა, ეს ურთულესი საქმე იქნება.

27 წლის ბასილაშვილის მეტოქე მერვედფინალში გერმანელი ალექსანდერ ზვერევია. შეგახსენებთ, რომ ნიკამ მას ევროპის ღია პირველობაზე, ჰამბურგში, დრამატულ მატჩში, 6:4, 4:6, 7:6 მოუგო.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

6 აგვისტო

<u>ფეხბურთი</u>

უეფას ჩემპიონთა ლიგა

დინამო(ზ)-ფერენცვაროში	1:1
ცრვენა ზვეზდა-კოპენჰაგენი	1:1
ბრიუგე-დინამო (კ)	1:0
აპოელი-ყარაბახი	1:2
პაოკი-აიაქსი	2:2

უეფას ევროპის ლიგა

არარატ არმენია-საბურთალო	1:2
რიგა-ჰიკი	1:1
სუტიესკა-ლინფილდი	1:2

ანანიძეც რუბინის გზაზე დგას

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ ჯანო ანანიძეს დიდი შანსია, მოსკოვის სპარტაკის დატოვება მოუხდეს. რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვური კლუბი 26 წლის ქართველი ფეხბურთელის გაცვლის ვარიანტს განიხილავს. თუ ასე მოხდა, ჯანო ყაზანის რუბინის უკვე საკმაოდ წარმომადგენლობით ქართულ ლეგიონს შეუერთდება.

სპარტაკს ჯანო ანანიძისა და ლორენცო მელგარეხოს გაცვლა რუბინის ფეხბურთელ იგორ კონოვალოვში სურს და მზადაა, ორივე მოთამაშეს შეელიოს. თავის მხრივ, ყაზანელებისთვის პრობლემა პოტენციური ახალწვეულების მაღალი ხელფასებია და თან, კონოვალოვით სხვა რუსული კლუბებიც ინტერესდებიან.

რუსეთის პრემიერლიგაში გასული 4 ტურის შემდეგ სპარტაკს 5 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-11 პოზიციას იკავებს. რუბინი, რომლის ღირსებას ხვიჩა კვარაცხელია, ზურიკო დავითაშვილი, ბექა მიქელაძე და ნიკა ყიფიანი იცავენ, 7 ქულით მე-5 ადგილზეა.

თუ ტრანსფერი შედგა, ჯანოსთვის რუბინი მეოთხე რუსული კლუბი იქნება. ანანიძე მოსკოვის სპარტაკის ღირსებას 10 წელიწადზე მეტია იცავს. ჯანო სპარტაკიდან 2-ჯერ იყო იჯარით განათხოვრებული – როსტოვსა და კრილია სოვეტოვში, მოსკოველებთან კონტრაქტი კი 2021 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

სამგლოვიარო განცხადებები

გარდაიცვალა 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი, გულანთებული ქართველი, ახალგაზრდების სწორ გზაზე დამყენებელი, ყურადღებიანი, ბრწყინვალე ოჯახის შვილი, სენაკის რაიონის ყოფილი პრეფექტი

ბათუ კანკავა

და სამძიმარს ვუცხადებთ მის მეუღლეს, ქალბატონ ლეილას, შვილებს ალეკოსა და მაიას ოჯახებით, ძმას ვოვა კანკავასა და მის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

საქართველოს ვეტერან-მოჭიდავეთა სახელით, რომან რურუა და თამაზ მაჭავარიანი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ენის ანთება; 2. ჰოლანდიური ლუდი; 3. რაიმე საკითხის საჯარო განხილვა; 4. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 5. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 8. სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე ცეკვაში; 9. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 12. გეომეტრიული ფიგურა; 13. ჩეხეთის ძველი სახელწოდება; 16. მდინარე ბოლნისში; 17. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. იაპონური აბანო; 20. მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე.

თარაზულად: 6. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 7. პოლიციელის სახელწოდება ძველად გერმანიაში; 8. ესპანური წარმოების ფრანგი მხატვარი; 10. საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 11. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 14. მოწინააღმდეგე კამათში; 15. განცალკევებული ოთახი ახლად დაქორწინებული ნეფე-დედოფლისათვის ძველად; 18. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 21. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 22. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 23. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 24. ლეონკავალოს ოპერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტავტოლოგია; 2. ტრაქტი; 3. პინოქიო; 4. მახნო; 5. ბასტილია; 6. დირსი; 7. ჭინჭარი; 9. პოშეტი; 13. კოლიე; 17. ნომი; 18. ბოა.

თარაზულად: 1. ტალანტი; 3. პრიზმა; 8. მაიამი; 10. აქსიომა; 11. პორშე; 12. ბოქსიტი; 14. მოსტრა; 15. პროტონი; 16. იანძი; 19. ალიევი; 20. ლაქტოზა; 21. კრუიზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ანანური; 2. უკრაინა; 3. ჰიუსტონი; 4. მანათი; 5. ბოცვერი; 8. მარტელი; 9. იოსემიტე; 12. ჩეფერინი; 13. ფსირცხა; 16. ვერდიქტი; 17. იაგუარი; 19. აწყური; 20. სულორი.

თარაზულად: 6. ანტიკვარი; 7. ვანდომი; 8. მესტია; 10. ტურბინა; 11. ლეგო; 14. არსენალი; 15. აფერისტი; 18. თეორია; 21. წახნაგი; 22. წუნდა; 23. ივრითი; 24. ციხისძირი.

ახალი თაობა

Akhalitaoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9338

ევრო — 3.2806

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5628

100 რუსული რუბლი — 4.5118

ამინდის პროგნოზი 8 აგვისტო

ვერკა ჯაჯანიძემ და იაკობ ყუფუნიამ ჩინეთში მესამე ადგილი დაიკავეს

მოცეკვავეებმა ვერკა ჯაჯანიძემ და იაკობ ყუფუნიამ ჩინეთის ქალაქ ინჩუანში გამართულ საერთაშორისო კონკურსში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

იაკობ ყუფუნია:

– ეკატერინე არჩაიას დამსახურებით ჩვენ წარვდექით ასეთი მაღალი დონის მსაჯების წინაშე და მოგვეცა შანსი, გვეცეკვა ასეთი მაღალი დონის ტურნირზე. ეს არის მოცეკვავისთვის ყველაზე მთავარი რამ, იცეკვო და წარდგე საერთაშორისო შეჯიბრზე და შეგაფასონ ტოპ მსაჯებმა.

ძალიან დადებითი ემოციები მივიღეთ აღნიშნული მსაჯებისგან, რაც ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია ისიც, რომ დაგვაფინანსეს, რაშიც მთავარი წვლილი ეკატერინე არჩაიას ეკუთვნის, ეს კი ჩვენთვის საკმაოდ ბევრს ნიშნავს.

რაც შეეხება შედეგს, ძალიან კმაყოფილები ვართ. გადავედით ფინალში, დავიკავეთ მესამე ადგილი და დადებითად წარმოვადგინეთ საქართველო.

თამარ ივერი: „ძაღლის გადამრჩენელს ძეგლი დავუდგათ“

ოპერის მომღერალი თამარ ივერი იმ მამაკაცისთვის, ვინც ძაღლის გადარჩენას საკუთარი სიცოცხლე შესწირა, ძეგლის დადგმის ინიციატივით გამოდის:

– მე რომ ქალაქის მერი ან ცხოველთა თავშესაფრის დირექტორი ვიყო, იმ მამაკაცს, ვინც ძაღლის გადარჩენას საკუთარი სიცოცხლე შესწირა, თანხას შევაგროვებდი და ძეგლს დავუდგამდი იმ ძაღლთან ერთად, როგორც ადამიანის ცხოველისადმი სიყვარულის და თავგანწირვის სიმბოლოს!

ასეთი პრეცედენტი საქართველოში ჯერ არ მომხდარა და მსგავსი მონუმენტი ხელს შეუწყობდა მომავალ თაობაში ადამიანის ცხოველისადმი სიყვარულის და თანადგომის მენტალიტეტის ამაღლებას.

ასეთივე სიმბოლური დატვირთვისაა ძაღლ „ხაჩიკოს“ ძეგლი ტოკიოში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მასწავლებელმა პარკში 2,12 კარატიანი ალმასი იპოვა

ამერიკის არკანზასის შტატში მდებარე პარკ „ალმასების კრატერში“ ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა 2,12 კარატიანი ალმასი იპოვა.

ნებრასკას შტატის მკვიდრი მასწავლებელი ჯოშ ლენიკი პარკ „ალმასების კრატერში“ ოჯახთან ერთად იმყოფებოდა, პარკში ორსაათიანი გასეირნების დროს, მან მიწაზე საყურადღებო ქვა შენიშნა.

– მე შევნიშნე, რომ ბრჭყვიალებდა, ხოლო როდესაც ავიღე და ხელის გულზე გადავაგორე, მივხვდი, რომ მჭრელი კუთხეები არ ჰქონდა, – ყვება მამაკაცი.

ლენიკმა ნაპოვნი მეუღლეს აჩვენა და ჩანთაში შეინახა. უკანა გზაზე, მათ ნაპოვნი ნივთების ადგილობრივ ცენტრში შეიარეს, სადაც ექსპერტმა დაუდასტურა, რომ ნაპოვნი ქვა ნამდვილად ალმასი იყო, ამასთან ყველაზე მსხვილი „ალმასების კრატერში“ 2019 წელს ნაპოვნ ალმასებს შორის ყველაზე მსხვილი. ამერიკელმა მასწავლებელმა აღიარა, რომ ჯერჯერობით ძვირფასი ქვის გაყიდვას არ გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 აგვისტოსთვის

ვერძი – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, ასევე – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ** კურო** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **ტყუპები** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **კირჩხიბი** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ, რათა მიზანს მიაღწიოთ. **ლომი** – აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობაზე გაამახვილეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **სასწორი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. დღეს კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. **ღრიანკალი** – კონფლიქტური დღეა. დაიმახსოვრეთ, დუმილი ოქროა. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **მშვილდოსანი** – მშვენიერი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად. **თხის რქა** – გირჩევთ, ეს დღე სახლში გაატაროთ. ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თავი მოიწესრიგეთ. **მერწყული** – ზედმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან. **თევზები** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორ შეიძლება, დავეხმაროთ გოგონას, რომელსაც ხუთი შავკანიანი მამაკაცი გაუპატიურებას უპირებს?

– კალათბურთის ბურთი გადაუგდე.

•••

გოგო ბიჭს საყვედურობს:

– შენ შემპირდი, რომ ამ ზაფხულს დავქორწინდებოდით!

– აბა ეს ზაფხული ზაფხულია?...

•••

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ხომ არ იცი, რატომ მეძახიან ჯინს? რა, სურვილებს ვასრულებ?

– არა, უბრალოდ, საკმარისია ბოთლი გაიხსნას და მაშინვე იქ ჩნდები!

•••

ექიმის კაბინეტში მამაკაცი შედის. ექიმი ეუბნება:

– გაიხადეთ და ტახტზე დაწექით.

– რატომ?!

– ექიმი მე ვარ და მე უკეთ ვიცი!

მამაკაცმა გაიხადა და დაწვა. ექიმი:

– აბა რა გაწუხებთ?

– რა და სად უნდა შევცვალო ნათურა. ელექტრიკოსი ვარ.

•••

ბიჭი გოგონას ეკითხება:

– გოგონი, თქვენი ძაღლი უცხო ადამიანს თავისთან უშვებს?

– რა თქმა უნდა, აბა სხვაგვარად, როგორ უკბენს?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709

ჟერარ პიკე: „ნეიმარის დაბრუნება გამიხარდება“



ბარსელონას ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ განაცხადა, რომ მას ნეიმარის ბარსელონაში დაბრუნება გაუხარდება, თუმცა არ იცის, რამდენად რეალურია ეს.

პიკეს თქმით, ნეიმარს პსჟ-სთან აქვს კონტრაქტი და ფრანგული გუნდი მას იოლად არ დათმობს:

– ნეიმარი ძალიან კარგი ადამიანი და შესანიშნავი ფეხბურთელია და მისი დაბრუნება გამიხარდება, მაგრამ არ ვიცი, რამდენად არის ეს შესაძლებელი. ჩვენ უკვე ბევრი შემტევი ფეხბურთელი გვყავს, ნეიმარს კი პსჟ-სთან აქვს კონტრაქტი.

ნეიმარის ბარსელონაში დაბრუნებაზე აქტიურად მიდის საუბარი, თუმცა კონკრეტული წინადადება ბარსელონას არ გაუკეთებია.

მანჩესტერ იუნაიტედმა შესაძლოა ლუკაკუ დასაჯოს

რომელუ ლუკაკუს, სავარაუდოდ, მანჩესტერ იუნაიტედის დატოვება სურს, რადგან ის გუნდის მოთხოვნებს არ ემორჩილება და უკვე რამდენიმე დღეა, ვარჯიშებზეც არ დადის. ამის გამო მას, სავარაუდოდ, ფულადი ჯარიმით დასჯიან.

ლუკაკუს შეძენა ყველაზე მეტად მილანის ინტერს სურს და ფეხბურთელსაც ინტერში უნდა თამაში.

დაბრკოლებას მხოლოდ მანჩესტერ იუნაიტედი ქმნის, რომელიც ინტერისგან 83 მილიონს ითხოვს.

დანი ალვეშის სან პაულოში პრეზენტაციას 45.000 კაცი დაესწრო

დანი ალვეში სამშობლოში დაბრუნდა და კარიერას სან პაულუში გააგრძელებს. დანიმ თავის ახალ გუნდთან 3 წლიანი კონტრაქტი გააფორმა და, სავარაუდოდ, კარიერას სწორედ ამ გუნდში დაასრულებს.

ალვეშის თქმით, მას ყოველთვის სურდა სან პაულოში თამაში და მან თავისი ოცნება აისრულა:

– ყველა გულშემატკივარს მადლობას ვუხდი, რომ ისინი ჩემს პრეზენტაციაზე მოვიდნენ. მე მათ კარგი თამაშით გადავუხდი სამაგიეროს. ყველანი ძალიან მიყვარხართ.

დანი ალვეშის პრეზენტაციას 45 ათასი გულშემატკივარი დაესწრო.

კოუტინიოს მომავალი კვლავ გაურკვეველია

ბარსელონას ბრაზილიელი ნახევარმცველის ფილიპე კოუტინიოს მომავალი კვლავ გაურკვეველია.

არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ კოუტინიო შესაძლოა ინგლისში გადავიდეს და იჯარის წესით რომელიმე გუნდს შეუერთდეს. ეს გუნდი შესაძლოა ტოტენჰემი აღმოჩნდეს, ან არსენალი, თუმცა კოუტინიომ არსენალზე უარი თქვა.

თვითონ ფეხბურთელმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ ბარსელონაში სურს დარჩენა, მაგრამ, როგორც ჩანს, კატალონიელებს სხვა მოსაზრება აქვთ.

მანჩესტერმა თვალი ერიქსენს დაადგა



ბოლო რამოდენიმე დღეა, სხვადასხვა ავტორიტეტული საინფორმაციო წყაროები ავრცელებენ ცნობებს იმის შესახებ, რომ მანჩესტერ იუნაიტედი აუცილებლად ეცდება ტოტენჰემიდან დანიელი ნახევარმცველის, კრისტიან ერიქსენის დამატებას.

ერიქსენს ლონდონურ კლუბთან მოქმედი კონტრაქტის ვადა 1 წლით აკავშირებს. ახალი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას დანიელი არ აპირებს, მიზეზად 27 წლის ფეხბურთელი ახალი გამოწვევების მიღების სურვილს ასახელებს. ამ მიზეზიდან გამომდინარე, „მამლები“ მზად არიან, ერიქსენი გაასხვისონ, რადგან კონტრაქტის გაუგრძელებლობის შემთხვევაში გაისად, კრისტიანს ნებისმიერ კლუბში უსასყიდლოდ შეეძლება გადასვლა.

სპურსი 50 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვს. აღნიშნული თანხის მიღების შემთხვევაში მაურისიო პოჩეტინო მთლიანად გუნდის გაძლიერებას მოახმარს. ლონდონური კლუბის სიაში ისეთი ფეხბურთელები ფიგურირებენ, როგორებიც, ფელიპე კოუტინიო, პაულო დიბალა და ბრუნო ფერნანდეში არიან.

იუნაიტედში დარწმუნებული არიან, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ლონდონელებთან შეთანხმებას მიაღწევენ და ერიქსენი კარიერას „ოლდ ტრაფორდზე“ გააგრძელებს.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

დიეგო ფორლანმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა

ლეგენდარულმა ურუგვაელმა ფეხბურთელმა დიეგო ფორლანმა კარიერა დაასრულა. ამის შესახებ მან განცხადება გააკეთა და თქვა, რომ მისთვის ეს რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მას აღარ შეეძლო კარიერის გაგრძელება:

– ვიცოდი, რომ ეს დღე ოდესმე დადგებოდა და მომიწევდა მტკივნეული გადაწყვეტილების მიღება. მე ვასრულებ საფეხბურთო კარიერას და ამაყი ვარ, რომ 21 წელი ფეხბურთელი ვიყავი. მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის.

ფორლანმა კარიერის მანძილზე ისეთ გუნდებში ითამაშა, როგორებიც არიან მანჩესტერ იუნაიტედი და მადრიდის ატლეტიკო. ატლეტიკოში მან რამდენიმე ტიტული მოიგო და ამ გუნდის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. ღვინის და დროსტარების ღვთაების პატივსაცემი დღესასწაული ძველად საბერძნეთში; 2. ძრავიანი ველოსიპედი; 3. ქალაქი იმერეთში; 4. კერძო საწარმო სოფლად; 5. უძველესი უნივერსიტეტი აშშ-ში; 6. ლუთერანული ეკლესია; 7. ქართული ტელეკომპანია; 9. ბრაზილიური არაყი; 13. იტალიელი კინორეჟისორი; 17. იაპონური ბრინჯის არაყი; 18. ცხოველური საკვები პროდუქტი.

თარაზულად: 1. აზიის ქვეყნებში გავრცელებული რელიგია; 3. ფრიალო კლდე; 8. ფილიპინების დედაქალაქი; 10. დაბალი რანგის დიპლომატი; 11. ლითონის, ხის დასამუშავებელი ელექტრო აგრეგატი; 12. საქართველოს პრემიერ მინისტრი; 14. გოეთეს ტრაგედია; 15. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 19. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი; 20. მე-17 საუკუნის ქართველი მხედართმთავარი; 21. კუთხე საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა